

შპს “მედიფარმა პლუსი”

ფინანსური ანგარიშგება

*2019 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისათვის
დამოუკიდებელი აუდიტორის დასკვნასთან ერთად*

შინაარსი

დამოუკიდებელი აუდიტორის დასკვნა

3-4

ფინანსური ანგარიშგება

ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგება	5
მოგება-ზარალისა და სხვა სრული შემოსავლის ანგარიშგება	6
კაპიტალის ცვლილებების ანგარიშგება	7
ფულადი ნაკადების ანგარიშგება	8

ფინანსური ანგარიშგების განმარტებითი შენიშვნები

1. ძირითადი საქმიანობა	9
2. მომზადების საფუძველი	9
3. მნიშვნელოვანი სააღრიცხვო პოლიტიკის მიმოხილვა	10
4. ახალი და შესწორებული სტანდარტების გამოყენება	18
5. მნიშვნელოვანი სააღრიცხვო შეფასებები და დაშვებები	20
6. ძირითადი საშუალებები, აქტივის გამოყენების უფლება	21
7. საინვესტიციო ქონება	22
8. არამატერიალური აქტივები	23
9. ფული და ფულის ეკვივალენტები	23
10. სავაჭრო და სხვა მოთხოვნები	24
11. მარაგები	24
12. კაპიტალი	24
13. მოკლევადიანი სესხები	25
14. სავაჭრო და სხვა ვალდებულებები	25
15. ვალდებულებები იჯარიდან	25
16. შემოსავლები	25
17. რეალიზებული პროდუქციის თვითღირებულება	26
18. ზოგადი და ადმინისტრაციული ხარჯი	26
19. სხვა არასაოპერაციო შემოსავალი	26
20. ფინანსური ხარჯი	27
21. მოგების გადასახადი	27
22. ფინანსური რისკების მართვა	27
23. დაკავშირებული მხარეები	29
24. საანგარიშგებო პერიოდის შემდგომი მოვლენები	30

დამოუკიდებელი აუდიტორის დასკვნა

შპს „მედფარმა პლუსის“ მფლობელსა და ხელმძღვანელობას:

პირობითი მოსაზრება

ჩვენ ჩავატარეთ აუდიტი შპს „მედფარმა პლუსის“ (შემდგომში „კომპანია“) ფინანსური ანგარიშგებისა, რომელიც შედგება 2019 წლის 31 დეკემბრისთვის მომზადებული ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებისგან, აღნიშნული თარიღით დამთავრებული წლის მოგება-ზარალისა და სხვა სრული შემოსავლის ანგარიშგებისგან, საკუთარი კაპიტალის ცვლილებების ანგარიშგებისა და ფულადი ნაკადების ანგარიშგებისგან, ასევე ფინანსურ ანგარიშგებაზე დართული შენიშვნებისგან, მათ შორის, ყველა მნიშვნელოვანი სააღრიცხვო პოლიტიკის მოკლე მიმოხილვისგან.

ჩვენი აზრით, ჩვენი დასკვნის ნაწილში - „პირობითი მოსაზრების საფუძველი“ აღწერილი საკითხის გავლენით განპირობებული შესაძლო შედეგების გარდა, თანდართული ფინანსური ანგარიშგება ყველა არსებითი ასპექტის გათვალისწინებით, უტყუარად და სამართლიანად ასახავს კომპანიის ფინანსურ მდგომარეობას 2019 წლის 31 დეკემბრისთვის, აგრეთვე მისი საქმიანობის ფინანსურ შედეგებსა და ფულად ნაკადებს მოცემული თარიღით დასრულებული წლისთვის ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტების (ფასს) შესაბამისად.

პირობითი მოსაზრების საფუძველი

ჩვენ აუდიტორებად დაგვნიშნეს 2019 წლის 31 მაისს და ამიტომ ვერ დავაკვირდით წლის დასაწყისში ჩატარებულ მარაგების ინვენტარიზაციას. ვერ დავრწმუნდით 2018 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით არსებული მარაგის რაოდენობის სისწორეში სხვა აუდიტორული პროცედურების ჩატარებითაც. ვინაიდან მარაგის საწყისი ნაშთი მონაწილეობს 2019 წლის ფინანსური შედეგებისა და ფულადი ნაკადების განსაზღვრაში, ვერ შევძელით იმის დადგენა, აუცილებელი იქნებოდა თუ არა მოგება-ზარალისა და სხვა სრული შემოსავლის ანგარიშგებაში წარმოდგენილი წლის მოგებისა და ფულადი ნაკადების ანგარიშგებაში ნაჩვენები საოპერაციო საქმიანობიდან წარმოქმნილი წმინდა ფულადი ნაკადების კორექტირება.

აუდიტი ჩავატარეთ აუდიტის საერთაშორისო სტანდარტების (ასს) შესაბამისად. ამ სტანდარტებით განსაზღვრული ჩვენი პასუხისმგებლობები დეტალურად აღწერილია ჩვენი დასკვნის ნაწილში - „აუდიტორის პასუხისმგებლობა ფინანსური ანგარიშგების აუდიტზე“.

ჩვენ დამოუკიდებელი ვართ კომპანიისგან ბუღალტერთა ეთიკის საერთაშორისო სტანდარტების საბჭოს (ბესსს) პროფესიონალი ბუღალტრების ეთიკის კოდექსისა და საქართველოში ფინანსური ანგარიშგების აუდიტის განხორციელებისას საჭირო ეთიკური ნორმების შესაბამისად. გარდა ამისა, ჩვენ შევასრულეთ ამ ნორმებით და ბესსს-ის ეთიკის კოდექსით გათვალისწინებული სხვა ეთიკური ვალდებულებებიც.

გვჯერა, რომ ჩვენ მიერ მოპოვებული აუდიტორული მტკიცებულებები საკმარისი და შესაფერისია ჩვენი პირობითი მოსაზრების გამოთქმისთვის აუცილებელი საფუძვლის შესაქმნელად.

ხელმძღვანელობისა და მეთვალყურეობაზე პასუხისმგებელ პირთა პასუხისმგებლობა ფინანსურ ანგარიშგებაზე

ხელმძღვანელობა პასუხისმგებელია თანდართული ფინანსური ანგარიშგების მომზადებასა და სამართლიან წარდგენაზე ფასს-ის შესაბამისად, ასევე შიდა კონტროლზე, რომელსაც იგი აუცილებლად მიიჩნევს ისეთი ფინანსური ანგარიშგების მოსამზადებლად, რომელიც არ შეიცავს თაღლითობით ან შეცდომით გამოწვეულ არსებით უზუსტობას.

ფინანსური ანგარიშგების მომზადებისას ხელმძღვანელობას ევალება, შეაფასოს კომპანიის ფუნქციონირებადობის უნარი და, აუცილებლობის შემთხვევაში, ფინანსური ანგარიშგების შენიშვნებში განმარტოს საკითხები, რომლებიც დაკავშირებულია კომპანიის ფუნქციონირებადობასთან და ანგარიშგების საფუძველად კომპანიის ფუნქციონირებადობის პრინციპის გამოყენებასთან, იმ შემთხვევის გარდა, როდესაც ხელმძღვანელობას განზრახული აქვს კომპანიის ლიკვიდაცია ან საქმიანობის შეწყვეტა, ან თუ არა აქვს სხვა რეალური არჩევანი, ასე რომ არ მოიქცეს.

მეთვალყურეობაზე პასუხისმგებელი პირები პასუხისმგებლები არიან კომპანიის ფინანსური ანგარიშგების მომზადებისა და წარდგენის პროცესის ზედამხედველობაზე.

დამოუკიდებელი აუდიტორის დასკვნა

შპს „მედფარმა პლუსის“ მფლობელსა და ხელმძღვანელობას:

პირობითი მოსაზრება

ჩვენ ჩავატარეთ აუდიტი შპს „მედფარმა პლუსის“ (შემდგომში „კომპანია“) ფინანსური ანგარიშგებისა, რომელიც შედგება 2019 წლის 31 დეკემბრისთვის მომზადებული ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებისგან, აღნიშნული თარიღით დამთავრებული წლის მოგება-ზარალისა და სხვა სრული შემოსავლის ანგარიშგებისგან, საკუთარი კაპიტალის ცვლილებების ანგარიშგებისა და ფულადი ნაკადების ანგარიშგებისგან, ასევე ფინანსურ ანგარიშგებაზე დართული შენიშვნებისგან, მათ შორის, ყველა მნიშვნელოვანი სააღრიცხვო პოლიტიკის მოკლე მიმოხილვისგან.

ჩვენი აზრით, ჩვენი დასკვნის ნაწილში - „პირობითი მოსაზრების საფუძველი“ აღწერილი საკითხის გავლენით განპირობებული შესაძლო შედეგების გარდა, თანდართული ფინანსური ანგარიშგება ყველა არსებითი ასპექტის გათვალისწინებით, უტყუარად და სამართლიანად ასახავს კომპანიის ფინანსურ მდგომარეობას 2019 წლის 31 დეკემბრისთვის, აგრეთვე მისი საქმიანობის ფინანსურ შედეგებსა და ფულად ნაკადებს მოცემული თარიღით დასრულებული წლისთვის ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტების (ფასს) შესაბამისად.

პირობითი მოსაზრების საფუძველი

ჩვენ აუდიტორებად დაგვნიშნეს 2019 წლის 31 მაისს და ამიტომ ვერ დავაკვირდით წლის დასაწყისში ჩატარებულ მარაგების ინვენტარიზაციას. ვერ დავრწმუნდით 2018 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით არსებული მარაგის რაოდენობის სისწორეში სხვა აუდიტორული პროცედურების ჩატარებითაც. ვინაიდან მარაგის საწყისი ნაშთი მონაწილეობს 2019 წლის ფინანსური შედეგებისა და ფულადი ნაკადების განსაზღვრაში, ვერ შევძელით იმის დადგენა, აუცილებელი იქნებოდა თუ არა მოგება-ზარალისა და სხვა სრული შემოსავლის ანგარიშგებაში წარმოდგენილი წლის მოგებისა და ფულადი ნაკადების ანგარიშგებაში ნაჩვენები საოპერაციო საქმიანობიდან წარმოქმნილი წმინდა ფულადი ნაკადების კორექტირება.

აუდიტი ჩავატარეთ აუდიტის საერთაშორისო სტანდარტების (ასს) შესაბამისად. ამ სტანდარტებით განსაზღვრული ჩვენი პასუხისმგებლობები დეტალურად აღწერილია ჩვენი დასკვნის ნაწილში - “აუდიტორის პასუხისმგებლობა ფინანსური ანგარიშგების აუდიტზე”.

ჩვენ დამოუკიდებელი ვართ კომპანიისგან ბუღალტრთა ეთიკის საერთაშორისო სტანდარტების საბჭოს (ბესსს) პროფესიონალი ბუღალტრების ეთიკის კოდექსისა და საქართველოში ფინანსური ანგარიშგების აუდიტის განხორციელებისას საჭირო ეთიკური ნორმების შესაბამისად. გარდა ამისა, ჩვენ შევასრულეთ ამ ნორმებით და ბესსს-ის ეთიკის კოდექსით გათვალისწინებული სხვა ეთიკური ვალდებულებებიც.

გვჯერა, რომ ჩვენ მიერ მოპოვებული აუდიტორული მტკიცებულებები საკმარისი და შესაფერისია ჩვენი პირობითი მოსაზრების გამოთქმისთვის აუცილებელი საფუძვლის შესაქმნელად.

ხელმძღვანელობისა და მეთვალყურეობაზე პასუხისმგებელ პირთა პასუხისმგებლობა ფინანსურ ანგარიშგებაზე

ხელმძღვანელობა პასუხისმგებელია თანდართული ფინანსური ანგარიშგების მომზადებასა და სამართლიან წარდგენაზე ფასს-ის შესაბამისად, ასევე შიდა კონტროლზე, რომელსაც იგი აუცილებლად მიიჩნევს ისეთი ფინანსური ანგარიშგების მოსამზადებლად, რომელიც არ შეიცავს თაღლითობით ან შეცდომით გამოწვეულ არსებით უზუსტობას.

ფინანსური ანგარიშგების მომზადებისას ხელმძღვანელობას ევალება, შეაფასოს კომპანიის ფუნქციონირებადობის უნარი და, აუცილებლობის შემთხვევაში, ფინანსური ანგარიშგების შენიშვნებში განმარტოს საკითხები, რომლებიც დაკავშირებულია კომპანიის ფუნქციონირებადობასთან და ანგარიშგების საფუძვლად კომპანიის ფუნქციონირებადობის პრინციპის გამოყენებასთან, იმ შემთხვევის გარდა, როდესაც ხელმძღვანელობას განზრახული აქვს კომპანიის ლიკვიდაცია ან საქმიანობის შეწყვეტა, ან თუ არა აქვს სხვა რეალური არჩევანი, ასე რომ არ მოიცვას.

მეთვალყურეობაზე პასუხისმგებელი პირები პასუხისმგებლები არიან კომპანიის ფინანსური ანგარიშგების მომზადებისა და წარდგენის პროცესის ზედამხედველობაზე.

აუდიტორის პასუხისმგებლობა ფინანსური ანგარიშგების აუდიტზე

ჩვენი მიზანია, მოვიპოვოთ დასაბუთებული რწმუნება იმის თაობაზე, თანდართული ფინანსური ანგარიშგება შეიცავს თუ არა თაღლითობით ან შეცდომით გამოწვეულ არსებით უზუსტობას და შევადგინოთ აუდიტორის დასკვნა, რომელიც მოიცავს ჩვენს მოსაზრებას. დასაბუთებული რწმუნება მაღალი დონის რწმუნებაა, მაგრამ არ არის იმის გარანტია, რომ ასს-ის შესაბამისად ჩატარებული აუდიტი ყოველთვის გამოავლენს ნებისმიერ არსებით უზუსტობას, რომელიც არსებობს. უზუსტობები შეიძლება გამოწვეული იყოს თაღლითობით ან შეცდომით და არსებითად მიიჩნევა იმ შემთხვევაში, თუ გონივრულ ფარგლებში, მოსალოდნელია, რომ ისინი, ცალ-ცალკე ან ერთობლივად, გავლენას მოახდენს იმ მომხმარებლების ეკონომიკურ გადაწყვეტილებებზე, რომლებიც დაეყრდნობიან მოცემულ ფინანსურ ანგარიშგებას.

ასს-ის შესაბამისად აუდიტის ჩატარება ითვალისწინებს აუდიტორის მიერ პროფესიული განსჯის გამოყენებას და პროფესიული სკეპტიციზმის შენარჩუნებას აუდიტის პროცესში. გარდა ამისა, ჩვენ ასევე:

- ▶ ვადგენთ და ვაფასებთ თაღლითობით ან შეცდომით გამოწვეულ, ფინანსური ანგარიშგების არსებითი უზუსტობის რისკებს; ვგეგმავთ და ვატარებთ ამ რისკებზე რეაგირებისთვის გამიზნულ აუდიტორულ პროცედურებს და ვკრებთ ისეთ აუდიტორულ მტკიცებულებებს, რომლებიც საკმარისი და შესაფერისი იქნება ჩვენი მოსაზრების გამოთქმისთვის აუცილებელი საფუძვლის შესაქმნელად. რისკი იმისა, რომ ვერ გამოვლინდება თაღლითობით გამოწვეული არსებითი უზუსტობა უფრო მაღალია, ვიდრე რისკი იმისა, რომ ვერ გამოვლინდება შეცდომით გამოწვეული უზუსტობა, რადგან თაღლითობა შეიძლება გულისხმობდეს ფარულ შეთანხმებას, გაყალბებას, ოპერაციების განზრახ გამოტოვებას, აუდიტორისთვის წინასწარგანზრახულად არასწორი ინფორმაციის მიწოდებას ან შიდა კონტროლის იგნორირებას.
- ▶ ჩვენ შევისწავლით აუდიტისთვის შესაფერის შიდა კონტროლის მექანიზმებს, რათა დავგეგმოთ კონკრეტული გარემოებების შესაფერისი აუდიტორული პროცედურები და არა იმ მიზნით, რომ მოსაზრება გამოვთქვათ კომპანიის შიდა კონტროლის ეფექტიანობაზე.
- ▶ ვაფასებთ ხელმძღვანელობის მიერ გამოყენებული სააღრიცხვო პოლიტიკის მიზანშეწონილობას, ხელმძღვანელობის მიერ განსაზღვრული სააღრიცხვო შეფასებების დასაბუთებულობასა და შესაბამისი ახსნა-განმარტებების მართებულობას.
- ▶ დასკვნა გამოგვაქვს ხელმძღვანელობის მიერ ანგარიშგების საფუძვლად კომპანიის ფუნქციონირებადობის პრინციპის გამოყენების მიზანშეწონილობაზე, ხოლო მოპოვებულ აუდიტორულ მტკიცებულებებზე დაყრდნობით ვადგენთ, არსებობს თუ არა რაიმე მოვლენებთან ან პირობებთან დაკავშირებული არსებითი განუსაზღვრელობა, რაც მნიშვნელოვან ეჭვს გამოიწვევდა კომპანიის ფუნქციონირებადობის უნართან დაკავშირებით. თუ დავასკვნით, რომ არსებობს არსებითი განუსაზღვრელობა, გვევალება ჩვენს აუდიტორულ დასკვნაში ყურადღების გამახვილება ფინანსური ანგარიშგების შესაბამის შენიშვნებზე, ან თუ ამგვარი განმარტებითი შენიშვნები ადეკვატური არ არის - ჩვენი მოსაზრების მოდიფიცირება. ჩვენი დასკვნები ეყრდნობა აუდიტორის დასკვნის თარიღამდე მოპოვებულ აუდიტორულ მტკიცებულებებს. თუმცა, ამის შემდგომი მომავალი მოვლენების ან პირობების გავლენით შეიძლება კომპანია უკვე აღარ იყოს ფუნქციონირებადი საწარმო.
- ▶ ვაფასებთ ფინანსური ანგარიშგების წარდგენას მთლიანობაში, მის სტრუქტურასა და შინაარსს, მათ შორის, ახსნა-განმარტებებს და ასევე, ფინანსური ანგარიშგება უზრუნველყოფს თუ არა ფინანსური ანგარიშგების საფუძვლად აღებული ოპერაციებისა და მოვლენების სამართლიან წარდგენას.

მეთვალყურეობაზე პასუხისმგებელ პირებს, სხვასთან ერთად, ინფორმაციას ვაწვდით აუდიტის დაგეგმილი მასშტაბისა და ვადების, ასევე აუდიტის პროცესში წამოჭრილი მნიშვნელოვანი საკითხების, მათ შორის, შიდა კონტროლის სისტემაში გამოვლენილი მნიშვნელოვანი ნაკლოვანებების შესახებ, ასეთის არსებობის შემთხვევაში.

შპს „ნექსია თივის“ სახელით

გელა მღებრიშვილი

31 ივლისი, 2020

თბილისი, საქართველო

აუდიტორის პასუხისმგებლობა ფინანსური ანგარიშგების აუდიტზე

ჩვენი მიზანია, მოვიპოვოთ დასაბუთებული რწმუნება იმის თაობაზე, თანდართული ფინანსური ანგარიშგება შეიცავს თუ არა თაღლითობით ან შეცდომით გამოწვეულ არსებით უზუსტობას და შევადგინოთ აუდიტორის დასკვნა, რომელიც მოიცავს ჩვენს მოსაზრებას. დასაბუთებული რწმუნება მაღალი დონის რწმუნებაა, მაგრამ არ არის იმის გარანტია, რომ ასს-ის შესაბამისად ჩატარებული აუდიტი ყოველთვის გამოავლენს ნებისმიერ არსებით უზუსტობას, რომელიც არსებობს. უზუსტობები შეიძლება გამოწვეული იყოს თაღლითობით ან შეცდომით და არსებითად მიიჩნევა იმ შემთხვევაში, თუ გონივრულ ფარგლებში, მოსალოდნელია, რომ ისინი, ცალ-ცალკე ან ერთობლივად, გავლენას მოახდენს იმ მომხმარებლების ეკონომიკურ გადაწყვეტილებებზე, რომლებიც დაეყრდნობიან მოცემულ ფინანსურ ანგარიშგებას.

ასს-ის შესაბამისად აუდიტის ჩატარება ითვალისწინებს აუდიტორის მიერ პროფესიული განსჯის გამოყენებას და პროფესიული სკეპტიციზმის შენარჩუნებას აუდიტის პროცესში. გარდა ამისა, ჩვენ ასევე:

- ▶ ვადგენთ და ვაფასებთ თაღლითობით ან შეცდომით გამოწვეულ, ფინანსური ანგარიშგების არსებითი უზუსტობის რისკებს; ვგეგმავთ და ვატარებთ ამ რისკებზე რეაგირებისთვის გამიზნულ აუდიტორულ პროცედურებს და ვკრებთ ისეთ აუდიტორულ მტკიცებულებებს, რომლებიც საკმარისი და შესაფერისი იქნება ჩვენი მოსაზრების გამოთქმისთვის აუცილებელი საფუძვლის შესაქმნელად. რისკი იმისა, რომ ვერ გამოვლინებთ თაღლითობით გამოწვეულ არსებითი უზუსტობა უფრო მაღალია, ვიდრე რისკი იმისა, რომ ვერ გამოვლინებთ შეცდომით გამოწვეულ უზუსტობა, რადგან თაღლითობა შეიძლება გულისხმობდეს ფარულ შეთანხმებას, გაყალბებას, ოპერაციების განზრახ გამოტოვებას, აუდიტორისთვის წინასწარგანზრახულად არასწორი ინფორმაციის მიწოდებას ან შიდა კონტროლის იგნორირებას.
- ▶ ჩვენ შევისწავლით აუდიტისთვის შესაფერის შიდა კონტროლის მექანიზმებს, რათა დავეგეგმოთ კონკრეტული გარემოებების შესაფერისი აუდიტორული პროცედურები და არა იმ მიზნით, რომ მოსაზრება გამოვთქვათ კომპანიის შიდა კონტროლის ეფექტიანობაზე.
- ▶ ვაფასებთ ხელმძღვანელობის მიერ გამოყენებული სააღრიცხვო პოლიტიკის მიზანშეწონილობას, ხელმძღვანელობის მიერ განსაზღვრული სააღრიცხვო შეფასებების დასაბუთებულობასა და შესაბამისი ახსნა-განმარტებების მართებულობას.
- ▶ დასკვნა გამოგვაქვს ხელმძღვანელობის მიერ ანგარიშგების საფუძვლად კომპანიის ფუნქციონირებადობის პრინციპის გამოყენების მიზანშეწონილობაზე, ხოლო მოპოვებულ აუდიტორულ მტკიცებულებებზე დაყრდნობით ვადგენთ, არსებობს თუ არა რაიმე მოვლენებთან ან პირობებთან დაკავშირებული არსებითი განუსაზღვრელობა, რაც მნიშვნელოვან ეჭვს გამოიწვევდა კომპანიის ფუნქციონირებადობის უნართან დაკავშირებით. თუ დავასკვნით, რომ არსებობს არსებითი განუსაზღვრელობა, გვევალება ჩვენს აუდიტორულ დასკვნაში ყურადღების გამახვილება ფინანსური ანგარიშგების შესაბამის შენიშვნებზე, ან თუ ამგვარი განმარტებითი შენიშვნები ადეკვატური არ არის - ჩვენი მოსაზრების მოდიფიცირება. ჩვენი დასკვნები ეყრდნობა აუდიტორის დასკვნის თარიღამდე მოპოვებულ აუდიტორულ მტკიცებულებებს. თუმცა, ამის შემდგომი მომავალი მოვლენების ან პირობების გავლენით შეიძლება კომპანია უკვე აღარ იყოს ფუნქციონირებადი საწარმო.
- ▶ ვაფასებთ ფინანსური ანგარიშგების წარდგენას მთლიანობაში, მის სტრუქტურასა და შინაარსს, მათ შორის, ახსნა-განმარტებებს და ასევე, ფინანსური ანგარიშგება უზრუნველყოფს თუ არა ფინანსური ანგარიშგების საფუძვლად აღებული ოპერაციებისა და მოვლენების სამართლიან წარდგენას.

მეთვალყურეობაზე პასუხისმგებელ პირებს, სხვასთან ერთად, ინფორმაციას ვაწვდით აუდიტის დაგეგმვლი მასშტაბისა და ვადების, ასევე აუდიტის პროცესში წამოჭრილი მნიშვნელოვანი საკითხების, მათ შორის, შიდა კონტროლის სისტემაში გამოვლენილი მნიშვნელოვანი ნაკლოვანებების შესახებ, ასეთის არსებობის შემთხვევაში.

შპს „ნექსია თივის“ სახელით

გელა მღებრიშვილი

31 ივლისი, 2020

თბილისი, საქართველო



შპს “მედფარმა პლუსი”
ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგება
2019 წლის 31 დეკემბერის მდგომარეობით
(ქართული ლარი)

აქტივები	შენიშვნა	31 დეკემბერი 2019	31 დეკემბერი 2018
გრძელვადიანი აქტივები			
ძირითადი საშუალებები	6	1,024,486	1,050,234
საინვესტიციო ქონება	7	48,957	50,796
არამატერიალური აქტივები	8	28,770	30,780
სულ გრძელვადიანი აქტივები		1,102,213	1,131,810
მიმდინარე აქტივები			
ფული და ფულის ეკვივალენტები	9	757,295	376,863
სავაჭრო და სხვა მოთხოვნები	10	232,323	232,920
ავანსები		14,152	-
მარაგები	11	356,462	500,802
საგადასახადო აქტივი		4,749	-
სულ მიმდინარე აქტივები		1,364,981	1,110,585
სულ აქტივები		2,467,194	2,242,395
კაპიტალი			
საწესდებო კაპიტალი	12	2,000	2,000
გაუნაწილებელი მოგება	12	2,299,706	2,038,251
სულ კაპიტალი		2,301,706	2,040,251
ვალდებულებები			
გრძელვადიანი ვალდებულებები			
ვალდებულებები იჯარიდან	15	19,056	-
სულ გრძელვადიანი ვალდებულებები		19,056	-
მიმდინარე ვალდებულებები			
მიღებული სესხები	13	-	2,116
სავაჭრო და სხვა ვალდებულებები	14	29,350	57,608
მიღებული ავანსები		6,453	394
საიჯარო ვალდებულების მიმდინარე ნაწილი	15	27,289	-
საგადასახადო ვალდებულებები მოგების გადასახადის გარდა		-	3,276
გადასახდელი დივიდენდი		83,340	138,750
სულ მიმდინარე ვალდებულებები		146,432	202,144
სულ ვალდებულებები		165,488	202,144
სულ კაპიტალი და ვალდებულებები		2,467,194	2,242,395

ხელმოწერილია და ნებადართულია გამოსაცემად ხელმძღვანელობის სახელით 2020 წლის 31 ივლისს.


გენერალური დირექტორი
თეიმურაზ ცანავა

შპს "მედფარმა პლუსი"
 ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგება
 2019 წლის 31 დეკემბერის მდგომარეობით
 (ქართული ლარი)

აქტივები	შენიშვნა	31 დეკემბერი 2019	31 დეკემბერი 2018
გრძელვადიანი აქტივები			
ძირითადი საშუალებები	6	1,024,486	1,050,234
საინვესტიციო ქონება	7	48,957	50,796
არამატერიალური აქტივები	8	28,770	30,780
სულ გრძელვადიანი აქტივები		1,102,213	1,131,810
მიმდინარე აქტივები			
ფული და ფულის ეკვივალენტები	9	757,295	376,863
სავაჭრო და სხვა მოთხოვნები	10	232,323	232,920
ავანსები		14,152	-
მარაგები	11	356,462	500,802
საგადასახადო აქტივი		4,749	-
სულ მიმდინარე აქტივები		1,364,981	1,110,585
სულ აქტივები		2,467,194	2,242,395
კაპიტალი			
საწესდებო კაპიტალი	12	2,000	2,000
გაუნაწილებელი მოგება	12	2,299,706	2,038,251
სულ კაპიტალი		2,301,706	2,040,251
ვალდებულებები			
გრძელვადიანი ვალდებულებები			
ვალდებულებები იჯარაიდან	15	19,056	-
სულ გრძელვადიანი ვალდებულებები		19,056	-
მიმდინარე ვალდებულებები			
მიღებული სესხები	13	-	2,116
სავაჭრო და სხვა ვალდებულებები	14	29,350	57,608
მიღებული ავანსები		6,453	394
საიჯარო ვალდებულების მიმდინარე ნაწილი	15	27,289	-
საგადასახადო ვალდებულებები მოგების გადასახადის გარდა		-	3,276
გადასახდელი დივიდენდი		83,340	138,750
სულ მიმდინარე ვალდებულებები		146,432	202,144
სულ ვალდებულებები		165,488	202,144
სულ კაპიტალი და ვალდებულებები		2,467,194	2,242,395

ხელმოწერილია და ნებადართულია გამოსაცემად ხელმძღვანელობის სახელით 2020 წლის 31 ივლისს.

გენერალური დირექტორი
 თეიმურაზ ცანავა



შპს “მედიფარმა პლუსი”
 მოგება-ზარალისა და სხვა სრული შემოსავლის ანგარიშგება
 2019 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისთვის
 (ქართული ლარი)

	შენიშვნა	2019	2018
შემოსავალი	16	3,517,592	3,480,763
რეალიზებული პროდუქციის თვითღირებულება	17	(1,598,284)	(1,599,042)
საერთო მოგება		1,919,308	1,881,721
ზოგადი და ადმინისტრაციული ხარჯები	18	(1,293,471)	(1,101,564)
საოპერაციო მოგება		625,837	780,157
სხვა არასაოპერაციო შემოსავალი	19	26,593	51,676
სხვა არასაოპერაციო ხარჯი		(102,058)	(8,750)
ფინანსური ხარჯი	20	(7,657)	(2,165)
წმინდა მოგება საკურსო სხვაობიდან		19,026	3,886
მოგება მოგების გადასახადით დაბეგვრდამდე		561,741	824,804
მოგების გადასახადი	21	(286)	(105)
წლის წმინდა მოგება		561,455	824,699
სხვა სრული შემოსავალი		-	-
წლის წმინდა მოგება და სხვა სრული შემოსავალი		561,455	824,699

ხელმოწერილია და ნებადართულია გამოსაცემად ხელმძღვანელობის სახელით 2020 წლის 31 ივლისს.

გენერალური დირექტორი
 თეიმურაზ ცანავა

შპს "მედიფარმა პლუსი"

მოგება-ზარალისა და სხვა სრული შემოსავლის ანგარიშგება

2019 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისთვის

(ქართული ლარი)

	შენიშვნა	2019	2018
შემოსავალი	16	3,517,592	3,480,763
რეალიზებული პროდუქციის თვითღირებულება	17	(1,598,284)	(1,599,042)
საერთო მოგება		1,919,308	1,881,721
ზოგადი და ადმინისტრაციული ხარჯები	18	(1,293,471)	(1,101,564)
საოპერაციო მოგება		625,837	780,157
სხვა არასაოპერაციო შემოსავალი	19	26,593	51,676
სხვა არასაოპერაციო ხარჯი		(102,058)	(8,750)
ფინანსური ხარჯი	20	(7,657)	(2,165)
წმინდა მოგება საკურსო სხვაობიდან		19,026	3,886
მოგება მოგების გადასახადით დაბეგრდამდე		561,741	824,804
მოგების გადასახადი	21	(286)	(105)
წლის წმინდა მოგება		561,455	824,699
სხვა სრული შემოსავალი		-	-
წლის წმინდა მოგება და სხვა სრული შემოსავალი		561,455	824,699

ხელმოწერილია და ნებადართულია გამოსაცემად ხელმძღვანელობის სახელით 2020 წლის 31 ივლისს.

გენერალური დირექტორი
თეიმურაზ ცანავა



შპს “მედიფარმა პლუსი”
 კაპიტალის ცვლილებების ანგარიშგება
 2019 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისთვის
 (ქართული ლარი)

	საწესდებო კაპიტალი (შენიშვნა 12)	გაუნაწილებელი მოგება	სულ კაპიტალი
31 დეკემბერი 2017	2,000	1,513,552	1,515,552
წლის სრული შემოსავალი	-	824,699	824,699
გამოცხადებული დივიდენდები	-	(300,000)	(300,000)
31 დეკემბერი 2018	2,000	2,038,251	2,040,251
წლის სრული შემოსავალი	-	561,455	561,455
გამოცხადებული დივიდენდები	-	(300,000)	(300,000)
31 დეკემბერი 2019	2,000	2,299,706	2,301,706

ხელმოწერილია და ნებადართულია გამოსაცემად ხელმძღვანელობის სახელით 2020 წლის 31 ივლისს.

გენერალური დირექტორი
 თეიმურაზ ცანავა

შპს "მედიკარმა პლუსი"
 კაპიტალის ცვლილებების ანგარიშგება
 2019 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისთვის
 (ქართული ლარი)

	საწესდებო კაპიტალი (შენიშვნა 12)	გაუნაწილებელი მოგება	სულ კაპიტალი
31 დეკემბერი 2017	2,000	1,513,552	1,515,552
წლის სრული შემოსავალი	-	824,699	824,699
გამოცხადებული დივიდენდები	-	(300,000)	(300,000)
31 დეკემბერი 2018	2,000	2,038,251	2,040,251
წლის სრული შემოსავალი	-	561,455	561,455
გამოცხადებული დივიდენდები	-	(300,000)	(300,000)
31 დეკემბერი 2019	2,000	2,299,706	2,301,706

ხელმოწერილია და ნებადართულია გამოსაცემად ხელმძღვანელობის სახელით 2020 წლის 31 ივლისს.

გენერალური დირექტორი
 თეიმურაზ ცანავა



შპს “მედფარმა პლუსი”
 ფულადი ნაკადების ანგარიშგება
 2019 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისთვის
 (ქართული ლარი)

	შენიშვნა	2019	2018
ფულადი ნაკადები საოპერაციო საქმიანობიდან			
წლის მოგება დაბეგვრამდე:		561,741	824,804
ცვეთა და ამორტიზაცია	6,7,8,18	147,305	79,213
ფინანსური ხარჯი	20	7,657	2,165
აქტივების ჩამოწერა		(3,281)	25,385
მარაგების ჩამოწერა		94,419	-
წმინდა მოგება საკუროს სხვაობიდან		(19,026)	(3,886)
საოპერაციო საქმიანობიდან მიღებული/(გამოყენებული) ფულადი სახსრები		788,815	927,681
საოპერაციო აქტივებსა და ვალდებულებებში ცვლილებამდე			
შემცირება / (ზრდა) სავაჭრო მოთხოვნებში		(14,213)	55,357
შემცირება / (ზრდა) მარაგებში		49,921	(202,429)
ზრდა / (შემცირება) სავაჭრო და სხვა ვალდებულებებში		(19,725)	(14,612)
ზრდა / (შემცირება) საგადასახადო ვალდებულებებში		(8,025)	120,307
საოპერაციო საქმიანობიდან მიღებული/(გამოყენებული) ფულადი სახსრები		796,773	886,304
გადახდილი პროცენტი		(7,657)	(2,165)
გადახდილი მოგების გადასახადი		(286)	(105)
საოპერაციო საქმიანობიდან მიღებული/(გამოყენებული) წმინდა ფულადი სახსრები		788,830	884,034
ფულადი ნაკადები საინვესტიციო საქმიანობიდან			
ძირითადი საშუალებების და საინვესტიციო ქონების შეძენა	6	(40,327)	(317,854)
ამონაგები ძირითადი საშუალებების რეალიზაციიდან		7,000	-
არამატერიალური აქტივების შეძენა		-	(30,540)
საინვესტიციო საქმიანობიდან მიღებული/(გამოყენებული) წმინდა ფულადი სახსრები		(33,327)	(348,394)
ფულადი ნაკადები საფინანსო საქმიანობიდან			
სესხების მიღება		1,924	2,116
მიღებული სესხების დაფარვა		(6,372)	-
იჯარის ვალდებულების ძირის გადახდა	15	(39,889)	-
გადახდილი დივიდენდი		(355,410)	(300,000)
საფინანსო საქმიანობაში გამოყენებული წმინდა ფულადი სახსრები		(399,747)	(297,884)
ფულის და ფულის ეკვივალენტების ზრდა/(შემცირება)		355,756	237,756
ფული და ფულის ეკვივალენტები წლის დასაწყისში	9	376,863	125,367
კურსთაშორის სხვაობის გავლენა ფულსა და ფულის ეკვივალენტებზე		24,676	13,740
ფული და ფულის ეკვივალენტები წლის ბოლოს	9	757,295	376,863

ხელმოწერილია და ნებადართულია გამოსაცემად ხელმძღვანელობის სახელით 2020 წლის 31 ივლისს.

გენერალური დირექტორი
 თეიმურაზ ცანავა

შპს "მედიფარმა პლუსი"
 ფულადი ნაკადების ანგარიშგება
 2019 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისთვის
 (ქართული ლარი)

	შენიშვნა	2019	2018
ფულადი ნაკადები საოპერაციო საქმიანობიდან			
წლის მოგება დაბეგვრამდე:		561,741	824,804
ცვეთა და ამორტიზაცია	6,7,8,18	147,305	79,213
ფინანსური ხარჯი	20	7,657	2,165
აქტივების ჩამოწერა		(3,281)	25,385
მარაგების ჩამოწერა		94,419	-
წმინდა მოგება საკუროსო სხვაობიდან		(19,026)	(3,886)
საოპერაციო საქმიანობიდან მიღებული/(გამოყენებული) ფულადი სახსრები		788,815	927,681
საოპერაციო აქტივებსა და ვალდებულებებში ცვლილებამდე			
შემცირება / (ზრდა) სავაჭრო მოთხოვნებში		(14,213)	55,357
შემცირება / (ზრდა) მარაგებში		49,921	(202,429)
ზრდა / (შემცირება) სავაჭრო და სხვა ვალდებულებებში		(19,725)	(14,612)
ზრდა / (შემცირება) საგადასახადო ვალდებულებებში		(8,025)	120,307
საოპერაციო საქმიანობიდან მიღებული/(გამოყენებული) ფულადი სახსრები		796,773	886,304
გადახდილი პროცენტი		(7,657)	(2,165)
გადახდილი მოგების გადასახადი		(286)	(105)
საოპერაციო საქმიანობიდან მიღებული/(გამოყენებული) წმინდა ფულადი სახსრები		788,830	884,034
ფულადი ნაკადები საინვესტიციო საქმიანობიდან			
ძირითადი საშუალებების და საინვესტიციო ქონების შეძენა	6	(40,327)	(317,854)
ამონაგები ძირითადი საშუალებების რეალიზაციიდან		7,000	-
არამატერიალური აქტივების შეძენა		-	(30,540)
საინვესტიციო საქმიანობიდან მიღებული/(გამოყენებული) წმინდა ფულადი სახსრები		(33,327)	(348,394)
ფულადი ნაკადები საფინანსო საქმიანობიდან			
სესხების მიღება		1,924	2,116
მიღებული სესხების დაფარვა		(6,372)	-
იჯარის ვალდებულების ძირის გადახდა	15	(39,889)	-
გადახდილი დივიდენდი		(355,410)	(300,000)
საფინანსო საქმიანობაში გამოყენებული წმინდა ფულადი სახსრები		(399,747)	(297,884)
ფულის და ფულის ეკვივალენტების ზრდა/(შემცირება)		355,756	237,756
ფული და ფულის ეკვივალენტები წლის დასაწყისში	9	376,863	125,367
კურსთაშორის სხვაობის გავლენა ფულსა და ფულის ეკვივალენტებზე		24,676	13,740
ფული და ფულის ეკვივალენტები წლის ბოლოს	9	757,295	376,863

ხელმოწერილია და ნებადართულია გამოსაცემად ხელმძღვანელობის სახელით 2020 წლის 31 ივლისს.

გენერალური დირექტორი
 თეიმურაზ ცანავა



9-30 გვერდებზე წარმოდგენილი შენიშვნები აღნიშნული ფინანსური ანგარიშგებების განუყოფელი ნაწილია.

1. ძირითადი საქმიანობა

შპს მედიფარმა პლუსი (შემდგომში „კომპანია“) დაფუძნდა და რეგისტრირებულია ქ. თბილისის დიდუბე-ჩუღურეთის რაიონული სასამართლოს მიერ 2002 წლის 7 მარტს, როგორც შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოება, საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად, რომელიც ოპერირებს მთელი საქართველოს მასშტაბით, საქართველოს კონსტიტუციის, კანონისა და კომპანიის წესდების საფუძველზე.

კომპანიის დამფუძნებელი და 100% წილის მფლობელი 2019 წლის 31 დეკემბრის და 2018 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით არის თეიმურაზ ცანავა.

კომპანიის ძირითადი საქმიანობა გულისხმობს მედიკამენტებისა და სხვა სამედიცინო მოხმარების საგნების შესყიდვა-რეალიზაციას საქართველოში და საზღვარგარეთ. კომპანია ასევე ახორციელებს სსიპ „სოციალური მომსახურების სააგენტოს“ საკუთრებაში არსებული მედიკამენტებისა და საკვები დანამატების საქართველოს ეკონომიკურ საზღვარზე გაფორმების, ტრანსპორტირების, შენახვისა და გაცემის მომსახურებას.

კომპანიის სარეგისტრაციო მისამართია: უზნაძის ქუჩა #76/1, თბილისი, საქართველო.
კომპანიის მთავარი ოფისი მდებარეობს მის სარეგისტრაციო მისამართზე.

კომპანიის გენერალური დირექტორი არის თეიმურაზ ცანავა.

2. მომზადების საფუძველი

შესავალი

წინამდებარე ფინანსური ანგარიშგება („ფინანსური ანგარიშგება“) მომზადებულია ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტების („ფასს“) შესაბამისად.

წინამდებარე ფინანსური ანგარიშგება მომზადებულია ისტორიული ღირებულების მეთოდით, თუ სხვაგვარად არ არის მითითებული.

წინამდებარე ფინანსური ანგარიშგება წარმოდგენილია ლარში.

ფუნქციონირებადი საწარმო

კომპანიის ხელმძღვანელობამ შეაფასა კომპანიის უნარი გააგრძელოს საქმიანობა, როგორც ფუნქციონირებადმა საწარმომ და დაკმაყოფილდა იმით, რომ მას გააჩნია რესურსები საქმიანობის გასაგრძელებლად. უფრო მეტიც, ხელმძღვანელობისთვის უცნობია რაიმე მნიშვნელოვანი გარემოების შესახებ, რამაც შესაძლოა ხელი შეუშალოს ან ეჭვი დაბადოს კომპანიის მიერ საქმიანობის გაგრძელების უნართან დაკავშირებით. კომპანიამ 2019 წელს გამოიმუშავა 561,455 ლარის წმინდა მოგება (2018 წელს 824,699 ლარი) და 788,830 ლარის დადებითი ფულადი ნაკადები საოპერაციო საქმიანობიდან (2018 წელს 884,034). 2019 წლის განმავლობაში გარზრდილია კომპანიის ჯამური აქტივები, მათ შორის მოკლევადიანი აქტივები, რომლებიც მნიშვნელოვნად აღემატება კომპანიის ვალდებულებებს. აღნიშნული ფაქტების გათვალისწინებით, ხელმძღვანელოვას მიაჩნია, რომ კომპანია თავისი ვალდებულებების გადახდისუნარიანია და კომპანიას ოპერაციების მომგებიანობით გაგრძელების შესაძლებლობა აქვს.

როგორც ეს 21-ე შენიშვნაშია მოცემული, 2020 წლის დასაწყისიდან, მსოფლიო მასშტაბით გავრცელდა ახალი კორონავირუსი (ე.წ. COVID-19) რამაც მნიშვნელოვანი გავლენა მოახდინა როგორც გლობალურ, ასევე ადგილობრივ ეკონომიკასა და ფინანსურ ფაზრებზე. თუმცა ფინანსური ანგარიშგების მომზადების თარიღისთვის აღნიშნულ ვირუსს მნიშვნელოვანი უარყოფითი პირდაპირი ეფექტი არ ჰქონია უშუალოდ კომპანიაზე. ხელმძღვანელობა მიიჩნევს, რომ კომპანიას არ გააჩნია ფუნქციონირებადობის საფრთხე და საქმიანობა გაგრძელდება ფინანსური ანგარიშგების თარიღიდან მინიმუმ თორმეტი თვის განმავლობაში.

შესაბამისად, ფინანსური ანგარიშგება მომზადებულია ფუნქციონირებადი საწარმოს დაშვების საფუძველზე.

3. მნიშვნელოვანი სააღრიცხვო პოლიტიკის მიმოხილვა

ქვემოთ აღწერილი სააღრიცხვო პოლიტიკის ძირითადი პრინციპები, რომელიც გამოყენებულია წინამდებარე ფინანსური ანგარიშგების მომზადებისას, თანმიმდევრულად ვრცელდება ყველა წარდგენილ პერიოდზე, თუ სხვაგვარად არ არის აღნიშნული.

ფუნქციონალური და წარდგენის ვალუტა

კომპანიის ფინანსური ანგარიშგების ელემენტების საზომ ვალუტას წარმოადგენს ვალუტა, რომელიც გამოიყენება იმ ეკონომიკურ გარემოში, სადაც კომპანია ახორციელებს საქმიანობას (“ფუნქციონალური ვალუტა”). კომპანიის ფუნქციონალური ვალუტაა ქართული ლარი. კომპანიის ფინანსური ანგარიშგების წარდგენის ვალუტას ასევე წარმოადგენს ქართული ლარი.

უცხოური ვალუტის კონვერტაცია

უცხოურ ვალუტაში განხორციელებული ოპერაციები აღირიცხება საოპერაციო ვალუტაში, რომლის კონვერტაცია ხდება ოპერაციის დღეს არსებული კურსით.

უცხოურ ვალუტაში არსებული ფულადი აქტივებისა და ვალდებულებების კონვერტაცია ლარში ხდება საქართველოს ეროვნული ბანკის („სებ“) გაცვლითი კურსით ანგარიშგების დღეს. უცხოურ ვალუტაში განხორციელებული ოპერაციების კონვერტაციით გამოწვეული მოგება-ზარალი აღიარებულია მოგება-ზარალის ანგარიშგებაში, როგორც უცხოური ვალუტის კონვერტაციით გამოწვეულ მოგებას გამოკლებული ზარალი – საკურსო სხვაობა.

არაფულადი საშუალებების კონვერტაცია, რომლებიც იზომება უცხოურ ვალუტაში ისტორიული ღირებულების დადგენის მიზნით, ხდება გაცვლითი კურსით, რომელიც არსებობს თავდაპირველი ოპერაციის დღეს. არაფულადი საშუალებები, რომლებიც იზომება უცხოურ ვალუტაში რეალური ღირებულებით, კონვერტირდება იმ დღის გაცვლითი კურსით, როცა მოხდა რეალური ღირებულების დადგენა. როცა არამონეტარული პუნქტის მოგება ან ზარალი აღიარებულია სხვა სრულ შემოსავალში, აღნიშნული მოგების ან ზარალის ნებისმიერი შეცვლილი კომპონენტი აღიარებულია სხვა სრულ შემოსავალში. და პირიქით, როცა არამონეტარული პუნქტის მოგება ან ზარალი აღიარებულია მოგება/ზარალში, აღნიშნული მოგების ან ზარალის ნებისმიერი შეცვლილი კომპონენტი აღიარებულია მოგება/ზარალში.

სხვაობები უცხოურ ვალუტაში განხორციელებული ოპერაციის საკონტრაქტო გაცვლით კურსსა და სებ-ის გაცვლით კურსს შორის ოპერაციის დღეს, ჩართულია უცხოურ ვალუტაში განხორციელებული ოპერაციებიდან მოგებას გამოკლებული ზარალის მუხლში.

სებ-ის ოფიციალური გაცვლითი კურსი 2019 წლის 31 დეკემბრის და 2018 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით შემდეგია:

	31 დეკემბერი 2019	31 დეკემბერი 2018
1 USD/GEL	2.8677	2.6766
1 EUR/GEL	3.2095	3.0701

საშუალო საკურსო განაკვეთები აღნიშნულ წლებში არის შემდეგი:

	2019	2018
საშუალო USD/GEL	2.819	2.535
საშუალო EUR/GEL	3.155	2.991

3. მნიშვნელოვანი სააღრიცხვო პოლიტიკის მიმოხილვა (გაგრძელება)

ძირითადი საშუალებები

ძირითადი საშუალებები აღირიცხება მათ თავდაპირველ ღირებულებას დაკლებული დაგროვილი ცვეთა ან/და გაუფასურების ღირებულება. თვითღირებულება განისაზღვრება შესყიდვის ფასით, იმპორტთან დაკავშირებული გადასახადებით, გამოუქვითავი გადასახადებით და სხვა პირდაპირი ხარჯებით. როცა ძირითადი საშუალებების ჯგუფი შეიცავს სხვადასხვა კომპონენტებს, რომლებსაც გააჩნიათ სხვადასხვა სარგებლობის ვადები, ისინი აღირიცხებიან ცალ-ცალკე, როგორც ძირითადი საშუალებების ცალკეული კომპონენტები.

ძირითადი საშუალებები, რომელიც გამოიყენება ძირითადი საქმიანობისთვის, ადმინისტრაციული ან გაქირავებისთვის, ან არის მშენებარე მდგომარეობაში, აღრიცხულია მის თვითღირებულებასა და გაუფასურების ღირებულებას შორის სხვაობით. თვითღირებულება შეიცავს პირდაპირ ხარჯებს, რომელიც გათვალისწინებულია კომპანიის სააღრიცხვო პოლიტიკით. სესხებთან დაკავშირებული ხარჯები კაპიტალიზირდება აქტივის ღირებულებაზე კომპანიის პოლიტიკით.

მოგება და ზარალი რომელიც წარმოიშობება აქტივის გაყიდვიდან ან ჩამოწერიდან, განისაზღვრება სხვაობით მიღებული სარგებლისა და საბალანსო ღირებულებას შორის და აღიარდება მოგება-ზარალის ანგარიშებში.

ხარჯები დაკავშირებული ძირითადი საშუალებების კომპონენტების ჩანაცვლებასთან და აღრიცხულია დამოუკიდებლად, კაპიტალიზირდება იმ კომპონენტის საბალანსო ღირებულებასთან ერთად, რომელიც ჩამოწერილ იქნა. სხვა დანახარჯები კაპიტალიზირდება იმ შემთხვევაში, თუ შესაძლებელია ეკონომიკური სარგებლის მიღება მომავალში. ყველა სხვა ხარჯი, მათ შორის შეკეთება-განახლება აღიარდება მოგება/ზარალის ანგარიშებში მისი მოხდენისთანავე.

ცვეთის დარიცხვა ხდება მოგება ზარალის ანგარიშებში წრფივი მეთოდის საშუალებით, თითოეული აქტივების სასიცოცხლო პერიოდის შეფასების საფუძველზე. ცვეთის დარიცხვა იწყება მას მერე, რაც აქტივი შედის გამოყენებაში. აქტივების სასიცოცხლო პერიოდი შემდეგნაირად ნაწილდება:

<i>ძირითადი საშუალების ჯგუფი</i>	<i>სასარგებლო პერიოდის ვადა</i>
შენობა-ნაგებობები	40-60 წელი
სატრანსპორტო საშუალებები	10-20 წელი
კომპიუტერები, ავეჯი და სხვა	5 – 10 წელი
მიწა და დაუმთავრებელი მშენებლობა	არ იცვითება

არამატერიალური აქტივები

არამატერიალური აქტივები, რომელიც შეძენილია კომპანიის მიერ და რომელთაც აქვთ განსაზღვრული საექსპლუატაციო ვადები, ნაჩვენებია საბალანსო ღირებულებით, დაგროვილი საამორტიზაციო და გაუფასურების ზარალის გამოკლებით. კომპანია ფლობს პროგრამულ უზრუნველყოფას, რომლის საექსპლუატაციო ვადა განისაზღვრება 15 წლით. ამორტიზაცია არამატერიალურ აქტივებზე გამოითვლება წრფივი მეთოდით.

საინვესტიციო ქონება

საინვესტიციო ქონება აღირიცხება თვითღირებულებიდან დაგროვილი ცვეთისა და დაგროვილი გაუფასურების ზარალის გამოკლების შედეგად მიღებული თანხით. საინვესტიციო ქონების თვითღირებულება შედგება მშენებლობის ხარჯის ან შესყიდვის ფასისგან, მასთან დაკავშირებული

3. მნიშვნელოვანი სააღრიცხვო პოლიტიკის მიმოხილვა (გაგრძელება)

იმპორტის გადასახადების, გამოუქვითავი გადასახადების და სხვა პირდაპირი ხარჯების ჩათვლით. ნებისმიერი სავაჭრო ფასდაკლება გამოაკლდება შესყიდვის ან მშენებლობის ფასს. მცირე შეკეთება-განახლება აღიარდება მოგება/ზარალის ანგარიშგებაში მისი მოხდენისთანავე. ხარჯები, დაკავშირებული საინვესტიციო ქონების მნიშვნელოვანი ნაწილის ან კომპონენტების ჩანაცვლებასთან კაპიტალიზირდება, ხოლო ჩანაცვლებული ნაწილი ჩამოიწერება.

საინვესტიციო ქონება წარმოდგენილია საწყის ღირებულებას, გამოკლებული დაგროვილი ცვეთა და გაუფასურების ზარალი, ასეთის არსებობის შემთხვევაში. ყოველი საანგარიშგებო პერიოდის ბოლოს ხელმძღვანელობა აფასებს, არსებობს თუ არა საინვესტიციო ქონების გაუფასურების რაიმე ნიშნები. თუ გაუფასურებას ჰქონდა ადგილი, ხდება მათი ჩამოფასება უმაღლესი თანხით, შემდეგ ორს შორის: გამოყენების ღირებულება და სამართლიან ღირებულებას გამოკლებული გაყიდვის ხარჯები. საბალანსო ღირებულების შემცირება აისახება მოგება-ზარალზე. წინა პერიოდში აღიარებული აქტივის გაუფასურების დანაკარგი გაიქვითება, თუკი მოხდება აქტივის გამოყენების ღირებულების ან სამართლიან ღირებულებას გამოკლებული გაყიდვის დანახარჯების ღირებულების გამოსათვლელად საჭირო დაშვებების ცვლილება. საინვესტიციო ქონების ჩამოწერა/რეალიზაციიდან მისაღები თანხების საბალანსო ღირებულებასთან შედარებით განსაზღვრული სარგებელი და ზარალი აღიარდება მოგება-ზარალში.

ცვეთის დარიცხვა ხდება მოგება ზარალის ანგარიშგებაში წრფივი მეთოდის საშუალებით, თითოეული აქტივების სასიცოცხლო პერიოდის შეფასების საფუძველზე. ცვეთის დარიცხვა იწყება მას მერე, რაც აქტივი შედის გამოყენებაში. აქტივების სასიცოცხლო პერიოდი შემდეგნაირად ნაწილდება:

საინვესტიციო ქონების ჯგუფი

სასარგებლო პერიოდის ვადა

შენობა-ნაგებობები

40-60 წელი

ფინანსური აქტივები და ვალდებულებები

თავდაპირველი აღირება

აღიარების თარიღი

ფინანსურ აქტივებსა და ვალდებულებების ყოველგვარი ყიდვა-გაყიდვა ჩვეულებრივი საქმიანობის პირობებში აღიარებულია გარიგების თარიღით, ანუ იმ თარიღით, როდესაც კომპანიამ აქტივის ან ვალდებულების შესყიდვის ვალდებულება იკისრა. ჩვეულებრივი საქმიანობის პირობებში ყიდვა-გაყიდვა ნიშნავს ფინანსური აქტივების და ვალდებულებების ისეთ ყიდვა-გაყიდვას, რომელიც მოითხოვს აქტივების და ვალდებულებების გადაცემას კანონმდებლობით ბაზარზე ზოგადად არსებული პრაქტიკით განსაზღვრულ პერიოდში.

თავდაპირველი შეფასება

თავდაპირველი შეფასებისთვის ფინანსური ინსტრუმენტის კლასიფიკაცია დამოკიდებულია სახელშეკრულებლო პირობებსა და ინსტრუმენტის მართვის ბიზნესმოდელზე. თავდაპირველად ფინანსური ინსტრუმენტების აღიარება ხდება სამართლიანი ღირებულებით, გარდა იმ შემთხვევისა, როცა ფინანსური აქტივი და ვალდებულების აღიარება ხდება სამართლიანი ღირებულებით მოგებაში ან ზარალში, მაშინ ამ თანხებს ემატება ან აკლდება გარიგების დანახარჯები.

3. მნიშვნელოვანი სააღრიცხვო პოლიტიკის მიმოხილვა (გაგრძელება)

ფინანსური აქტივების და ვალდებულებების შეფასების კატეგორიები

2018 წლის 1 იანვრიდან, კომპანია ფინანსური აქტივების კლასიფიკაციას ახდენს ინსტრუმენტის მართვის ბიზნესმოდელიდან და სახელშეკრულებლო პირობებიდან გამომდინარე ჩამოთვლილთაგან ერთ-ერთით:

- ამორტიზირებული ღირებულება;
- სამართლიანი ღირებულება სხვა სრულ შემოსავალში;
- სამართლიანი ღირებულება მოგებაში ან ზარალში.

2018 წლის 1 იანვრამდე კომპანია თავისი ფინანსური აქტივების კლასიფიკაციას ახდენდა კლიენტებზე გაცემულ სესხებად და მოთხოვნებად (ამორტიზირებული ღირებულება), გასაყიდად გამიზნულად ან დაფარვის ვადამდე ფლობილად (ამორტიზირებული ღირებულება).

ფინანსური ვალდებულებები, სასესხო დავალიანებისა და ფინანსური გარანტიების გარდა, ფასდება ამორტიზირებული ღირებულებით ან სამართლიანი ღირებულებით მოგებაში ან ზარალში, როდესაც ისინი გამიზნულია ვაჭრობისთვის, ან არის წარმოებული ინსტრუმენტები, ან სამართლიანი ღირებულებითაა კლასიფიცირებული.

სავაჭრო და სხვა მოთხოვნები ამორტიზირებული ღირებულებით

2018 წლის 1 იანვრამდე სავაჭრო და სხვა მოთხოვნები მოიცავდა არაწარმოებულ ფინანსურ აქტივებს ფიქსირებული ან განსაზღვრადი გადახდებით, რომლებიც არ იყო კოტირებული აქტიურ ბაზარზე, გარდა იმ აქტივებისა:

- რომლებსაც კომპანია უპირებს დაუყოვნებლივ ან უახლოეს მომავალში გაყიდვას;
- რომლებსაც კომპანია თავდაპირველი აღიარებისას მიაკუთვნებს სამართლიანი ღირებულებით მოგებაში ან ზარალში ასახულის ან გასაყიდად გამიზნულის კატეგორიას;
- რომლებზეც კომპანიამ შეიძლება სრულად ვერ ამოიღოს თავდაპირველი ინვესტიცია ამა თუ იმ მიზეზით, გარდა კრედიტის გაუარესების მიზეზისა, და რომელიც მიეკუთვნება გასაყიდად გამიზნულის კატეგორიას.

2018 წლის 1 იანვრიდან კომპანია ახდენს სავაჭრო და სხვა მოთხოვნების და სხვა ფინანსური ინვესტიციების შეფასებას ამორტიზირებული ღირებულებით იმ შემთხვევაში, თუ ორივე შემდეგი პირობა დაკმაყოფილებულია:

- ფინანსური აქტივი იმართება ისეთი ბიზნესმოდელით, რომლის მიზანია ფინანსური აქტივების ფლობა სახელშეკრულებო ფულადი ნაკადების მიღების მიზნით; და
- ფინანსური აქტივის სახელშეკრულებო პირობები კონკრეტული თარიღებით წარმოქმნის ფულად ნაკადებს, რომლებიც წარმოადგენს მხოლოდ ძირითადი თანხისა და ძირითადი თანხის დარჩენილ ნაშთზე დარიცხული პროცენტის გადახდებს.

ზემოთხსენებული პირობების დეტალები მოცემულია ქვემოთ:

ბიზნესმოდელის შეფასება

კომპანიის ბიზნესმოდელი განისაზღვრება ისეთ დონეზე, რომელიც გვიჩვენებს, რა მეთოდებით ხდება ფინანსური აქტივების ჯგუფების ერთობლივად მართვა ბიზნესის გარკვეული მიზნების მისაღწევად.

3. მნიშვნელოვანი სააღრიცხვო პოლიტიკის მიმოხილვა (გაგრძელება)

კომპანიის ბიზნესმოდელი არ წარმოადგენს ცალკეული ინსტრუმენტებისთვის გამოსაყენებელ საკლასიფიკაციო მიდგომას, არამედ იგი უნდა განისაზღვროს აგრეგირების უფრო მაღალ დონეზე და დაფუძნებული უნდა იყოს ისეთ დაკვირვებად ფაქტორებზე, როგორც არის, მაგალითად:

- როგორ ხდება ბიზნესმოდელის ეფექტურობისა და ამ ბიზნესმოდელის ფარგლებში ფლობილი ფინანსური აქტივების შეფასება და ამ საკითხების შესახებ საწარმოს უმაღლესი რანგის ხელმძღვანელობის ინფორმირება;
- რისკები, რომლებიც გავლენას ახდენს მოცემული ბიზნესმოდელის (და ამ ბიზნესმოდელის ფარგლებში ფლობილი ფინანსური აქტივების) ეფექტურობაზე და კონკრეტულად როგორ ხორციელდება ამ რისკების მართვა;
- რა ფორმით ხდება ბიზნესის ხელმძღვანელების ანაზღაურება (მაგალითად, ანაზღაურება მართული აქტივების სამართლიან ღირებულებას ეფუძნება თუ მიღებული სახელშეკრულებო ფულადი ნაკადების ოდენობას);
- მოსალოდნელი სიხშირე, ღირებულება და გაყიდვების დროულობა ასევე მნიშვნელოვანია კომპანიის შესაფასებლად.

ბიზნეს მოდელის შეფასება დაფუძნებულია გონივრულობის ფარგლებში მოსალოდნელ სცენარებზე, „ყველაზე უარესი“ ან „სტრესული შემთხვევების“ სცენარების გათვალისწინების გარეშე. თუ ფულადი ნაკადები ისეთი გზით წარმოიქმნება, რომელიც განსხვავდება ბიზნესმოდელის შეფასების თარიღით კომპანიის მოლოდინებისგან, ეს არ გამოიწვევს მოცემული ბიზნესმოდელის ფარგლებში დარჩენილი ფინანსური აქტივების კლასიფიკაციის ცვლილებას, თუმცა ინფორმაციის გათვალისწინება მოხდება მომავალში ახლად წარმოქმნილი ან ახლად შესყიდული ფინანსური აქტივების შეფასებისას.

მხოლოდ ძირითადი თანხისა და პროცენტის გადახდების (SPPI) ტესტირება

კლასიფიკაციის შემდეგ ეტაპზე კომპანია აფასებს ფინანსური აქტივის სახელშეკრულებო პირობებს, რათა დაადგინოს, აკმაყოფილებს თუ არა ისინი ძირითადი თანხისა და პროცენტის გადახდების ტესტირებას.

„ძირითადი თანხა“ ტესტირების მიზნებისთვის განისაზღვრება როგორც ფინანსური ინსტრუმენტის სამართლიანი ღირებულება თავდაპირველი აღიარებისას და შეიძლება შეიცვალოს ფინანსური აქტივის სასარგებლო გამოყენების მანძილზე (მაგალითად, იმ შემთხვევაში, თუ ხორციელდება გადახდები ძირითადი თანხის დასაფარადა ან პრემიუმის/ დისკონტის ამორტიზაცია).

ფულის დროითი ღირებულების და საკრედიტო რისკის ანაზღაურება პროცენტის ყველაზე მნიშვნელოვანი ელემენტებია. იმისათვის, რომ განისაზღვროს სახელშეკრულებო ფულადი ნაკადები წარმოადგენს თუ არა მხოლოდ ძირითადი თანხისა და პროცენტის გადახდას, კომპანია მიმართავს მსჯელობას და ითვალისწინებს ისეთ მნიშვნელოვან ფაქტორებს, როგორიცაა ვალუტა, რომელშიც გამოსახულია ფინანსური აქტივი და პერიოდი, რომლისთვისაც დადგენილია საპროცენტო განაკვეთი.

ამისგან განსხვავებით, სახელშეკრულებო პირობები, რომლებიც ითვალისწინებს არაარსებითზე მეტ რისკს ან სახელშეკრულებო ფულადი ნაკადების ცვალებადობას, რომლებიც არ უკავშირდება ძირითად სახელშეკრულებო გარიგებას, არ წარმოქმნის ისეთ სახელშეკრულებო ფულად ნაკადებს, რომლებიც მხოლოდ ძირითადი თანხის და დაუფარავ ბალანსზე დარიცხული პროცენტის გადახდას წარმოადგენს. ასეთ შემთხვევებში ფინანსური აქტივი უნდა შეფასდეს სამართლიანი ღირებულებით, მოგებაში ან ზარალში ასახვით.

3. მნიშვნელოვანი სააღრიცხვო პოლიტიკის მიმოხილვა (გაგრძელება)

სავაჭრო და სხვა მოთხოვნები

2018 წლის 1 იანვრამდე სავაჭრო და სხვა მოთხოვნები წარმოადგენდნენ არაწარმოებულ ფინანსურ აქტივებს ფიქსირებული ან განსაზღვრადი გადახდებით, რომლებიც არ იყვნენ კოტირებული აქტიურ ბაზარზე. აღნიშნული ინსტრუმენტები არ იყო განკუთვნილი სასწრაფო ან მოკლევადიანი გადაყიდვისთვის, და არ იყო კლასიფიცირებული, როგორც სავაჭრო ფასიანი ქაღალდები ან გასაყიდად გამიზნული საინვესტიციო ფასიანი ქაღალდები. ასეთი აქტივები აღირიცხებოდა ამორტიზირებული ღირებულებით მოქმედი ეფექტური საპროცენტო განაკვეთის გამოყენებით. შემოსულობისა და ზარალის აღიარება ხდებოდა მოგებაში ან ზარალში, როდესაც ხდებოდა შესხებისა და მისაღები ანგარიშების აღიარების შეწყვეტა ან გაუფასურება, ასევე ამორტიზაციის პროცესში.

ფული და ფულის ეკვივალენტები

ფული და ფულის ეკვივალენტები შედგება ნაღდი ფულისგან სალაროში და ბანკებში განთავსებულ მიმდინარე ანგარიშებზე არსებული ფულისგან, რომლებიც ექვემდებარება ფასის შეცვლის მცირედ რისკს.

ნასესხები თანხები

ნასესხები თანხების საპროცენტო ხარჯები რომლებიც პირდაპირ მიეკუთვნება აქტივის შეძენას, აშენებას ან წარმოებას, რასაც აუცილებლად სჭირდება დროის დიდი პერიოდი, რათა მზად იყოს თავისი ფუნქციური გამოყენებისათვის ან გაყიდვისათვის, კაპიტალიზდება, როგორც შესაბამისი აქტივის ღირებულების ნაწილი. ყველა სხვა სასესხო ხარჯები ჩაითვლება ხარჯებში იმ პერიოდისათვის, როდესაც ისინი ხორციელდება. სასესხო ხარჯები შედგება სარგებლისა და სხვა ხარჯებისგან, რასაც პირი გასწევს თანხების სესხებასთან დაკავშირებით.

ფინანსური ინსტრუმენტების ურთიერთგაქვითვა

ფინანსური აქტივები და ფინანსური ვალდებულებები გაიქვითება და ნეტო თანხა ნაჩვენებია ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებაში, იმ შემთხვევაში თუ მიმდინარე პერიოდში არსებობს იურიდიული ძალის მქონე უფლება, რომ მოხდეს აღიარებული თანხების ურთიერთგაქვითვა და არსებობს განზრახვა, რომ მოხდეს ვალდებულების გასწორება ან აქტივის რეალიზაცია ერთდროულად ნეტო თანხაზე.

ფინანსური აქტივებისა და ვალდებულებების აღიარების შეწყვეტა

ფინანსური აქტივები

ფინანსური აქტივის (ან, სადაც მისაღებია, ფინანსური აქტივის ნაწილის ან ანალოგიური ფინანსური აქტივის ჯგუფის ნაწილის) ჩამოწერა ხდება, თუ:

- ▶ ამოიწურა აქტივიდან ფულადი სახსრების მიღების ვადა;
- ▶ კომპანიამ დათმო აქტივიდან ფულადი სახსრების მიღების უფლება, ან დაიტოვა ამგვარი უფლება, მაგრამ აიღო მესამე პირებისათვის თანხების სრულად და დაგვიანების გარეშე გადახდის სახელშეკრულებო ვალდებულება; და
- ▶ კომპანიამ (ა) გადასცა აქტივთან დაკავშირებული ყველა რისკი და სარგებელი, (ბ) არც გადასცა და არც დაიტოვა აქტივთან დაკავშირებული ყველა რისკი და სარგებელი, მაგრამ გადასცა აქტივზე კონტროლი.

3. მნიშვნელოვანი სააღრიცხვო პოლიტიკის მიმოხილვა (გაგრძელება)

იმ შემთხვევაში, თუ კომპანიამ გადასცა აქტივიდან ფულადი ნაკადების მიღების უფლება და არ გადაუცია ძირითადი რისკები და სარგებელი, ან კონტროლი აქტივებზე, კომპანიის მიერ აქტივის აღიარება ხდება უწყვეტი გამოყენების პირობით. შემდგომი გამოყენება, რომელსაც აქვს გადაცემულ აქტივზე ერთგვარი გარანტიის ფორმა, აისახება აქტივის თავდაპირველ საბალანსო ღირებულებასა და კომპანიის მიერ გადასახდელ მაქსიმალურ თანხას შორის უმცირესით.

ჩამოწერა

2018 წლის 1 იანვრიდან ფინანსური აქტივები ჩამოიწერება ნაწილობრივ ან სრულად მას შემდეგ, რაც კომპანია შეწყვეტს თანხის ამოღების მცდელობას. თუ ჩამოსაწერი თანხა დაგროვილი ზარალის რეზერვზე მეტია, სხვაობა ჯერ ემატება რეზერვს და შემდგომ გამოიქვითება საერთო საბალანსო ღირებულებიდან. შემდგომ პერიოდში თანხის ამოღება კრედიტდება საკრედიტო ზარალის ხარჯში. ჩამოწერა წარმოადგენს აღიარების შეწყვეტის მოვლენას.

ფინანსური ვალდებულებები

ფინანსური ვალდებულებების აღიარება წყდება მაშინ, როდესაც ისინი იფარება, ბათილდება ან ამოიწურება.

როდესაც არსებულ ფინანსურ ვალდებულებას ცვლის მეორე ფინანსური ვალდებულება იმავე კრედიტორის მიმართ მნიშვნელოვნად შეცვლილი პირობებით, ან თუ მიმდინარე ვალდებულების პირობები მნიშვნელოვნად იცვლება, ამგვარი ცვლილება თუ მოდიფიკაცია აღირიცხება, როგორც თავდაპირველი ვალდებულების აღიარების გაუქმება და ახალი ვალდებულების აღიარება, ხოლო შესაბამისი საბალანსო ღირებულის სხვაობა აისახება მოგება-ზარალის ანგარიშგებაში.

შემოსავლისა და ხარჯის აღიარება

შემოსავლის აღიარება ხდება მაშინ, როდესაც ეკონომიკური სარგებლის მიღების ალბათობა მაღალია და შესაძლებელია მისი სანდოდ შეფასება. შემოსავლის აღიარებამდე ასევე აუცილებელია შემდეგი კონკრეტული აღიარების კრიტერიუმების დაკმაყოფილება:

შემოსავალი განისაზღვრება მისივე სამართლიანი ღირებულებით ან სავაჭრო მოთხოვნებით, რომელშიც გათვალისწინებულია კომპანიის ფასდაკლებები და ფასდათმობები. შემოსავალი მცირდება შეფასებული ფასდაკლებებით და სხვა მსგავსი შეღავათებით.

შემოსავალი მედიკამენტების გაყიდვიდან

კომპანია იღებს შემოსავალს მედიკამენტების რეალიზაციიდან.

მოგების გადასახადი

ბანკების, სადაზღვევო კომპანიებისა და მიკროსაფინანსო ორგანიზაციების გარდა, სხვა საწარმოების მიერ მიღებული წლიური მოგება 2017 წლის 1 იანვრიდან არ იბეგრება საქართველოში. მოგების გადასახადით იბეგრება დივიდენდების სახით იმ აქციონერებზე/პარტნიორებზე განაწილებული მოგება, რომლებიც საქართველოში მცხოვრები ფიზიკური ან არარეზიდენტი პირები არიან, წმინდა განაწილების 15/85 განაკვეთით. დივიდენდების გადახდიდან წარმოშობილი მოგების გადასახადი იმ პერიოდის ვალდებულებებსა და ხარჯებში აღირიცხება, როდესაც დივიდენდები გამოცხადდა, იმის მიუხედავად, თუ რა თარიღში ან რომელი პერიოდისთვის ხდება დივიდენდების გადახდა. კონკრეტულ გარემოებებში, შესაძლებელია გადასახდელი მოგების გადასახადში გამოქვითვების

3. მნიშვნელოვანი სააღრიცხვო პოლიტიკის მიმოხილვა (გაგრძელება)

განხორციელება, რაც აღირიცხება შესაბამის განაწილებასთან დაკავშირებით მოგების გადასახადის ხარჯის შემცირების სახით. საქართველოს საგადასახადო სისტემის ბუნებიდან გამომდინარე, საქართველოში რეგისტრირებულ საწარმოებს გადავადებული საგადასახადო აქტივი და ვალდებულება არ წარმოეშვებათ. კომპანიის მფლობელებზე გასანაწილებელ დივიდენდებზე გადასახდელი გადასახადის დაკავების აღიარება კაპიტალიდან გამოქვითვის სახით ხდება კაპიტალში ცვლილებების ანგარიშგებაში.

საქართველოს საგადასახადო კანონმდებლობა ასევე ითვალისწინებს მოგების გადასახადით გარკვეული ოპერაციების დაბეგვრას, რომლებიც შეიძლება მოგების განაწილებად ჩაითვალოს (მაგალითად, არასაბაზრო ფასებით აღრიცხული გარიგებები, ბიზნესთან დაუკავშირებელი ხარჯები, ან საქონლისა და მომსახურების უსასყიდლო მიწოდება). ამგვარი გარიგებების დაბეგვრა საოპერაციო გადასახადების ანალოგიურად აღირიცხება და მათი აღიარება სხვა საოპერაციო ხარჯების ნაწილში ხდება.

არაფინანსური აქტივების გაუფასურება

თითოეულ საანგარიშო პერიოდში, ძირითადი საშუალებები და არამატერიალური აქტივები განიხილება, რათა დადგინდეს არსებობს თუ არა რაიმე მინიშნება, რომ ამ აქტივებმა განიცადა გაუფასურების დანაკარგი. თუ არსებობს მინიშნება შესაძლო გაუფასურებაზე, ნებისმიერი ასეთი აქტივის (ან მასთან დაკავშირებული აქტივის ჯგუფის) ანაზღაურებადი ღირებულება შეფასდება და შედარდება მის საბალანსო მაჩვენებელთან, თუ შეფასებული ანაზღაურებადი ღირებულება არის

უფრო მცირე, საბალანსო მაჩვენებელი შემცირდება მის შეფასებულ ანაზღაურებად ღირებულებამდე, და გაუფასურების დანაკარგი აღიარებული იქნება დაუყოვნებლივ მოგება-ზარალში.

თუ გაუფასურების დანაკარგი არაფინანსური აქტივებისათვის მითითებულია, აქტივის (ან მასთან დაკავშირებული აქტივთა ჯგუფის) საბალანსო ღირებულება იზრდება მისი ანაზღაურებადი ღირებულების კორექტირებულ შეფასებამდე, მაგრამ არა უმეტეს იმ თანხისა, რაც განსაზღვრული იქნებოდა აქტივისთვის (ან მასთან დაკავშირებული აქტივთა ჯგუფისთვის), რომელსაც არ ჰქონდა გაუფასურების დანაკარგი წინა წლებში. ადრე აღიარებული გაუფასურების დანაკარგის აღდგენა აღიარებული იქნება დაუყოვნებლივ მოგება-ზარალში.

სასაქონლო-მატერიალური მარაგები

სასაქონლო-მატერიალური მარაგები აღირიცხება თვითღირებულებასა და წმინდა სარეალიზაციო ღირებულებას შორის ყველზე დაბალი ღირებულებით. სასაქონლო მატერიალური მარაგების ღირებულება განისაზღვრება საშუალო შეწონილი მეთოდის გამოყენებით და შეიცავს დანახარჯებს, რომელიც დაკავშირებულია აქტივის შემენასთან და მის არსებული სამუშაო მდგომარეობაში მიყვანასთან. წმინდა სარეალიზაციო ღირებულება არის ბიზნესის ჩვეულებრივ პირობებში საქმიანობისას არსებული აქტივის გასაყიდ ფასს გამოკლებული დანახარჯები, დაკავშირებული აქტივის გაყიდვასთან.

წინასწარი გადახდები

წინასწარი გადახდები აღიარდება თვითღირებულებას გამოკლებული გაუფასურების რეზერვით. წინასწარი გადახდა კლასიფიცირება გრძელვადიანად როდესაც საქონელი ან მომსახურება, რომელიც

3. მნიშვნელოვანი სააღრიცხვო პოლიტიკის მიმოხილვა (გაგრძელება)

სავარაუდოდ, მიღებული იქნება ერთი წლის შემდეგ, ან რომელიც თავად კლასიფიცირებული უნდა იყოს როგორც გრძელვადიანი აქტივი.

ძირითადი საშუალებებისთვის განკუთვნილი წინასწარი გადახდები აღიარდება, როგორც ძირითადი საშუალება მაშინ, როდესაც კომპანია მიიღებს სრულ კონტროლს ამ ძირითად საშუალებაზე, რომლიდანაც მოსალოდნელია მომავალი ეკონომიკური სარგებელი. სხვა წინასწარი გადახდები ჩამოიწერება მოგებაში ან ზარალში როდესაც ხდება იმ საქონლის ან მომსახურების მიღება, რომელიც დაკავშირებულია წინასწარი გადახდებთან. თუ არის რაიმე სახის ეჭვი, რომ საქონელი, მომსახურება ან ძირითადი საშუალება არ იქნება მიღებული, რომლისთვისაც გაწეულია წინასწარი ხარჯი, ამ შემთხვევაში ხდება წინასწარ გაწეული ხარჯის ჩამოწერა მიმდინარე პერიოდის მოგება-ზარალში.

საწესდებო კაპიტალი.

კომპანიის მიერ გამოშვებული კაპიტალის ინსტრუმენტები აღირიცხება მიღებული თანხით. აკუმულირებული მოგება/ზარალი შეიცავს წინა პერიოდების აკუმულირებულ მოგება/ზარალს. დივიდენდები აღირიცხება, როგორც ვლდებულება იმ პერიოდისთვის, რომელშიც გამოცხადდა.

4. ახალი და შესწორებული სტანდარტების გამოყენება

კომპანია იყენებს ყველა შესაბამის სტანდარტს და ინტერპრეტაციას, რომლებიც სავალდებულოა მიმდინარე საანგარიშგებო პერიოდისთვის.

კომპანიას არ გამოუყენებია ახალი, შესწორებული ან შეცვლილი სტანდარტები, რომლებიც გამოიცა ბუღალტრული აღრიცხვის საერთაშორისო სტანდარტების საბჭოს (IASB) მიერ, მაგრამ ჯერ არ იყო ძალაში შესული 2019 წლის 1 იანვარს დაწყებული ფინანსური წლისთვის.

ახალი სტანდარტების გამოყენება

კომპანიამ გამოიყენა ახალი სააღრიცხვო დებულებები, რომლებიც ძალაშია 2019 წლის 1 იანვრიდან:

ფასს 16 იჯარა

ფასს 16 ანაცვლებს ბასს 17-ს „იჯარა“ და შემდეგ სამ ინტერპრეტაციას: ფასიკ 4 „როგორ განვსაზღვროთ, შეიცავს თუ არა შეთანხმება იჯარას“, იმკ 15 „საოპერაციო იჯარა - სტიმულირება“ და იმკ 27 „გარიგების შინაარსის შეფასება, რომელიც შეიცავს იჯარის სამართლებრივ ფორმას“.

იჯარა

კომპანია როგორც მოიჯარე

ნებისმიერი ახალი ხელშეკრულების დაწყებისას რომელიც დადებულია 2019 წლის 1 იანვარს ან მას შემდეგ, საწარმომ უნდა შეაფასოს, მთლიანად ხელშეკრულება არის თუ არა იჯარა, ან შეიცავს თუ არა იჯარას.

იჯარა განიმარტება როგორც ხელშეკრულება, ან ხელშეკრულების ნაწილი, რომლის თანახმად სხვა მხარეს გადაეცემა აქტივის (საიჯარო აქტივის) გამოყენების უფლება გარკვეული პერიოდის განმავლობაში, ანაზღაურების მიღების სანაცვლოდ ამ განმარტების გამოსაყენებლად საწარმომ უნდა შეაფასოს:

კონტრაქტი შეიცავს თუ არა იდენტიფიცირებული აქტივის გამოყენების კონტროლის უფლებას გარკვეული პერიოდის განმავლობაში. როგორც წესი, აქტივი პირდაპირ არის განსაზღვრული ხელშეკრულებაში. თუმცა, ასევე შესაძლებელია, რომ აქტივის იდენტიფიცირება არაპირდაპირი გზით მოხდეს იმ მომენტში, როდესაც აქტივი გამოყენებისთვის ხელმისაწვდომი ხდება მომხმარებლისთვის.

ფასს 16-ის მიხედვით მოიჯარე აღიარებს აქტივს გამოყენების უფლებით, რაც წარმოადგენს მის უფლებას ისარგებლოს ქვემდებარე აქტივით და საიჯარო ვალდებულებას იმ იჯარებზე, რომლებიც მანამდე კლასიფიცირებული იყო საოპერაციო იჯარად. არსებობს აღიარების გამონაკლისები მოკლევადიანი

4. ახალი და შესწორებული სტანდარტების გამოყენება (გაგრძელება)

იჯარებისთვის (იჯარა რომლის ვადა იჯარის ვადის დაწყების თარიღისთვის შეადგენს არაუმეტეს 12 თვეს) და დაბალი ღირებულების მქონე საიჯარო ერთეულებისთვის.

ახალი სტანდარტი დაინერგა მოდიფიცირებული რეტროსპექტული მიდგომის გამოყენებით; კომპანია ფასს 16-ის გამოყენების კუმულაციურ კორექტირებას საწყის ბალანსზე აღიარებს წინა პერიოდის შესადარისი მონაცემების გადაანგარიშების გარეშე.

სტანდარტის დანერგვის თარიღისთვის გაფორმებული ხელშეკრულებებისთვის, კომპანიამ არჩია გამოყენებინა ბასს 17-ით და ფასიკ 4-ით მოცემული იჯარის განმარტება და არ მიუსადაგა ფასს 16 იმ ხელშეკრულებებს რომლებიც არ იყო იდენტიფიცირებული, როგორც იჯარა, ბასს 17-ის და ფასიკ 4-ის მიხედვით.

კომპანია არ ითვალისწინებს თავდაპირველ პირდაპირ დანახარჯებს აქტივის გამოყენების უფლების შეფასებისას ფასს 16-ის თავდაპირველად გამოყენების თარიღისთვის, კერძოდ, 2019 წლის 1 იანვარს. კომპანია იჯარებზე ასევე აღიარებს გამოყენების უფლებით გადაცემულ აქტივს საიჯარო ვალდებულების ოდენობით, რომელიც კორექტირდება ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებაში ასახული იჯარასთან დაკავშირებული ყველა წინასწარ გადახდილი ან დარიცხული საიჯარო გადასახადების თანხით.

სტანდარტის თავდაპირველად გამოყენების თარიღისთვის აქტივის გამოყენების უფლების გაუფასურებაზე განხილვის ნაცვლად მოიჯარემ ისტორიულ მონაცემებზე დაყრდნობით გააანალიზა იყო თუ არა იჯარა ზარალიანი სტანდარტის თავდაპირველი გამოყენების თარიღამდე.

იმ იჯარისთვის, რომელიც წინათ კლასიფიცირებული იყო, როგორც ფინანსური იჯარა სტანდარტის თავდაპირველი გამოყენების თარიღისთვის აქტივის გამოყენების უფლებისა და საიჯარო ვალდებულების საბალანსო ღირებულება იქნება საიჯარო აქტივისა და საიჯარო ვალდებულების საბალანსო ღირებულება, რომელიც მათ ჰქონდა უშუალოდ ბასს 17-ის გამოყენებით შეფასებამდე.

ფასს 16-ზე გადასვლისას, მოიჯარის ზღვრული საშუალო შეწონილი სასესხო განაკვეთი შეადგენს 7% აშშ დოლარში და 11% ლარში.

კომპანიამ გამოიყენა წარსული გამოცდილება იჯარის ვადის განსაზღვრისას, იჯარის გაგრძელების ან ვადამდე შეწყვეტის მოლოდინების შეფასებისას.

ბას 12 - მოგებიდან გადასახადები

ბას 12-ის ცვლილებები აზუსტებს, რომ დივიდენდების მოგების გადასახადის შედეგები (ასეთის არსებობის შემთხვევაში), რომლებიც განსაზღვრულია ფასს 9-ში (ე.ი. წილობრივი ინსტრუმენტების მფლობელებზე მოგების განაწილებას მათ მფლობელობაში არსებული წილების პროპორციულად) უნდა იქნას აღიარებული:

- იმავდროულად, როცა ხდება ამ დივიდენდების გადახდის ვალდებულების აღიარება; და
- მოგება ან ზარალში, სხვა სრულ მოგება-ზარალში, ან კაპიტალში ცვლილების ანგარიშგებაში იმის მიხედვით თუ სად აღიარა კომპანიამ წარსული ოპერაციები ან მოვლენები, რომლებმაც წარმოქმნა გასანაწილებელი მოგებები, საიდანაც ხდება დივიდენდების გადახდა.

ბას 12-ის ცვლილებები ძალაში შედის 2019 წლის 1 იანვარს ან შემდეგ დაწყებული პერიოდებისთვის, თუმცა ნებადართულია უფრო ადრე გამოყენება. ორგანიზაციებმა უნდა გამოიყენონ დივიდენდებზე მოგების გადასახადის შედეგების ცვლილება, რომელიც აღიარებულია წარმოდგენილი ადრინდელი შესადარისი პერიოდის დაწყების დღეს ან შემდეგ.

ბას 28 - ინვესტიციები მეკავშირე და ერთობლივ საწარმოებში

დაზუსტება, რომ ინვესტიციის ობიექტების შეფასება რეალური ღირებულებით მოგება-ზარალის საშუალებით მოხდება თითოეული ინვესტიციის მიხედვით. ეს ცვლილებები აზუსტებს, რომ

- ნებისმიერ ორგანიზაციას, რომელიც არის ახალი სარისკო ინვესტიციის მქონე ორგანიზაცია, ან სხვა პირობითი ორგანიზაცია, შეუძლია მიიღოს გადაწყვეტილება თავდაპირველი აღიარებით თითოეული ინვესტიციის მიხედვით, რათა შეფასდეს მისი ინვესტიციები ასოცირებულ და ერთობლივ საწარმოებში რეალური ღირებულებით მოგება-ზარალის საშუალებით.

4. ახალი და შესწორებული სტანდარტების გამოყენება (გაგრძელება)

- კომპანიას, რომელიც თვითონ არ არის საინვესტიციო კომპანია, მაგრამ ფლობს წილს ასოცირებულ ან ერთობლივ საწარმოში, რომელიც არის საინვესტიციო კომპანია, შეუძლია წილობრივი მონაწილეობის მეთოდის გამოყენებისას, გადაწყვიტოს რეალური ღირებულებით შეფასების შენარჩუნება, რომელიც გამოიყენება საინვესტიციო ასოცირებული ან ერთობლივი საწარმოს მიერ შვილობილ კომპანიებში საინვესტიციო ასოცირებული კომპანიის ან ერთობლივი საწარმოს მიმართ. ეს გადაწყვეტილება მიიღება ცალკე თითოეული საინვესტიციო ასოცირებული კომპანიისა და ერთობლივი საწარმოსთვის ამ ორი თარიღიდან რომელიც უფრო გვიან დადგება:
 - საინვესტიციო ასოცირებული კომპანია ან ერთობლივი საწარმო თავდაპირველად აღიარებულია;
 - ასოცირებული კომპანია ან ერთობლივი საწარმო გახდება საინვესტიციო კომპანია; და
 - საინვესტიციო ასოცირებული კომპანია ან ერთობლივი საწარმო პირველად ხდება მშობელი კომპანია.

5. მნიშვნელოვანი სააღრიცხვო შეფასებები და დაშვებები

კომპანიის ფინანსური ანგარიშების მომზადება მოითხოვს ხელმძღვანელობისგან ისეთ შეფასებებს და დაშვებებს, რომლებიც გავლენას ახდენს ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებაში წარმოდგენილი აქტივებისა და ვალდებულებების ოდენობაზე და წლის ბოლოს სრული შემოსავლის ანგარიშგებაში წარმოდგენილ შემოსავალსა და ხარჯებზე. შეფასებებისა და დაშვებების გადახედვა ხდება უწყვეტად. ეს შეფასებები და დაშვებები ეყრდნობა წარსულ გამოცდილებასა და მრავალ სხვა ფაქტორს, რომლებიც გარემოებათა გათვალისწინებით მიზანშეწონილად მიიჩნევა. ფაქტობრივი შედეგები შესაძლოა განსხვავდებოდეს ამგვარი შეფასებებისგან სხვადასხვა დაშვებებისა თუ პირობების მიხედვით. ქვემოთ მოცემულია შეფასებები და დაშვებები, რომლებიც მნიშვნელოვანია კომპანიის ფინანსური მდგომარეობისთვის და ფინანსური შედეგებისთვის.

ძირითადი საშუალებებისა და საინვესტიციო ქონების საექსპლუატაციო ვადები

კომპანია აკეთებს ძირითადი საშუალებებისა და საინვესტიციო ქონების გამოყენების ხანგრძლივობის შეფასებას, რისთვისაც ითვალისწინებს სხვადასხვა ფაქტორებს, ისეთებს როგორიცაა ტექნიკური მხარე, კომერციული გამოყენება, აქტივების გამოყენების ხანგრძლივობა, სიმძლავრე და ფიზიკური მდგომარეობა. მიუხედავად იმისა, რომ ხელმძღვანელობა ცდილობს საუკეთესო გზით შეაფასოს ძირითადი საშუალებებისა და საინვესტიციო ქონების გამოყენების ხანგრძლივობა, ის შეიძლება განსხვავდებოდეს რეალური შედეგებისგან, რამაც შესაძლოა გავლენა იქონიოს ფინანსურ ანგარიშგებაზე.

ფინანსური აქტივების გაუფასურების რეზერვი

კომპანია რეგულარულად ამოწმებს თავის სავაჭრო და სხვა მოთხოვნებს გაუფასურების შესაფასებლად. ბუღალტრული აღრიცხვის მიზნებისთვის ფასს 9-ის მიხედვით ანარიცხი დამოკიდებულია მოსალოდნელ საკრედიტო ზარალზე (ECL), რომელიც განისაზღვრება შემდგომი თორმეტი თვის განმავლობაში დეფოლტის ალბათობით, თუ არ მოხდა მნიშვნელოვანი ზრდა საკრედიტო რისკში წარმოშობის შემდგომ. თუ ფინანსური აქტივი შეესაბამება “შექმნილი ან შექმნილი გაუფასურებული ფინანსური აქტივების” (POCI)-ის განმარტებას, ანარიცხი დამოკიდებულია ELC-ის ცვლილებაზე აქტივის სასიცოცხლო ვადის განმავლობაში.

საგადასახადო კანონმდებლობა

საქართველოს საგადასახადო კანონმდებლობა ექვემდებარება არაერთმნიშვნელოვან ინტერპრეტაციას. კომპანიის ჩვეულებრივი საქმიანობის პირობებში არსებობს ისეთი ოპერაციები, რომელთათვისაც ნათლად არ არის განსაზღვრული ამა თუ იმ გადასახადთან დაკავშირებული საკითხები. შედეგად, კომპანია აფასებს, ეკისრება თუ არა მას დამატებითი გადასახადების გადახდის ვალდებულება და მათზე დაყრდნობით აღიარებს საგადასახადო ვალდებულებებს. ეს საგადასახადო ვალდებულებები აღიარდება მაშინ, როდესაც კომპანიას მიაჩნია თავისი საგადასახადო დეკლარაციები საიმედოდ, მაგრამ იგი თვლის, რომ შესაძლოა საგადასახადო ორგანოების მხრიდან გარკვეული პოზიცია იყოს განსხვავებული. შედეგად, კომპანიას მინიმუმამდე დაყავს აღნიშნული რისკი.

შპს “ მედფარმა პლუსი”
 ფინანსური ანგარიშგების განმარტებითი შენიშვნები
 2019 წლის 31 დეკემბერი
 (ქართული ლარი)

6. ძირითადი საშუალებები, აქტივის გამოყენების უფლება

საბალანსო ღირებულება	შენიშვნა- ნაგებობები	სატრანსპორტო საშუალებები	კომპიუტერული მოწყობილობები	ავიჯი და საოფისე აღჭურვილობა	სხვა	აქტივის გამოყენების უფლება	სულ
31 დეკემბერი 2017	705,872	291,718	330,009	59,505	56,465	-	1,443,569
შემოსვლა	-	196,950	53,936	25,421	41,546	-	317,853
ჩამოწერა	-	-	(38,018)	-	(17,532)	-	(55,550)
საინვესტიციო ქონებიდან გადმოტანა	5,018	-	-	-	-	-	5,018
31 დეკემბერი 2018	710,890	488,668	345,927	84,926	80,479	-	1,710,890
ფასს 16-ზე გადასვლის ეფექტი	-	-	-	-	-	81,155	81,155
2019 წლის 1 იანვრისთვის	-	-	-	-	-	-	-
შემოსვლა	-	-	17,562	15,861	6,904	-	40,327
გასვლა	-	(56,071)	-	-	-	-	(56,071)
31 დეკემბერი 2019	710,890	432,597	363,489	100,787	87,383	81,155	1,776,301

დაგროვილი ცვეთა

31 დეკემბერი 2017	297,492	158,442	137,145	4,806	17,439	-	615,324
ცვეთის ხარჯი	14,501	29,172	23,144	2,111	6,569	-	75,497
ჩამოწერა	-	-	(28,932)	-	(1,234)	-	(30,166)
31 დეკემბერი 2018	311,993	187,614	131,357	6,917	22,774	-	660,656
ცვეთის ხარჯი	14,500	47,465	27,081	11,467	3,448	39,549	143,511
გასვლა	-	(52,352)	-	-	-	-	(52,352)
31 დეკემბერი 2019	326,493	182,727	158,438	18,384	26,222	39,549	751,815

ნარჩენი ღირებულება

31 დეკემბერი 2017	408,380	133,276	192,864	54,699	39,026	-	828,245
31 დეკემბერი 2018	398,897	301,054	214,570	78,009	57,705	-	1,050,234
31 დეკემბერი 2019	384,397	249,870	205,050	82,402	61,162	41,606	1,024,486

2019 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით კომპანიის ძირითადი საშუალებები არ იყო დატვირთული იპოთეკით ვალდებულებების უზრუნველსაყოფად. კომპანია აღრიცხავს ძირითად საშუალებებს თვითღირებულებით. კომპანიის სრულად გაცვეთილი ძირითადი საშუალებების საბალანსო ღირებულება 2019 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით შეადგენს 54,906 ლარს (2018 წლის 31 დეკემბერი: 68,439 ლარი).

6. ძირითადი საშუალებები, აქტივის გამოყენების უფლება (გაგრძელება)

2018 წლის 12 ივნისს და 2018 წლის 24 ივლისს კომპანიამ გააფორმა ერთწლიანი და სამწლიანი საოპერაციო იჯარის ხელშეკრულებები ფიზიკურ პირებთან, სადაც კომპანია წარმოდგენილია როგორც მოიჯარე. აღნიშნული ხელშეკრულებებით, კომპანიამ იჯარით აიღო ორი საოფისე ფართი ქ. გორში, ჭავჭავაძის N.50-ში და ქ. ახალციხეში, თამარაშვილის ქ. N 6-8-ში. საოფისე ფართებში განთავსებულია სპეციალიზირებული სავაჭრო ობიექტები - აფთიაქები. აღნიშნული ხელშეკრულებები არ ექვემდებარება გაუქმებას და განახლებადია მომავალ პერიოდებშიც. ყოველთვიური გადასახადები შეადგენს 1,500 ლარს და 813 აშშ დოლარის ექვივალენტს ლარში, შესაბამისად. 2019 წლის 2 ივლისს 2018 წლის 12 ივნისის ხელშეკრულება გახანგრძლივდა ერთი წლით (საიჯარო ქირა 1,625 ლარი). აღნიშნული ხელშეკრულება ვადამდე ადრე შეწყდა 2020 წლის 14 თებერვალს და დაიდო ახალი ხელშეკრულება. 2018 წლის 25 დეკემბერს 2018 წლის 24 ივლისს დადებულ ხელშეკრულებაში შევიდა ცვლილება, რის მიხედვითაც საიჯარო ქირა განისაზღვრა 760 აშშ დოლარის ოდენობით.

აქტივის გამოყენების უფლების საბალანსო ღირებულება და ცვეთის ხარჯი საანგარიშგებო პერიოდის ბოლოს შესაბამისად შეადგენს 41,606 ლარს (2,906 ლარი და 38,700 ლარი) და 39,549 ლარს (17,435 ლარი და 22,114 ლარი). საიჯარო გადახდების დისკონტირების გასაანგარიშებლად გამოყენებულია კომპანიის ზღვრული სასესხო განაკვეთი (7% აშშ დოლარში და 11% ლარში), რასაც საფუძვლად დაედო მოიჯარის შესაძლებლობა - მოცემულ პერიოდში აეღო შესაბამის ვალუტაში შესაბამისი ვადიანობის სესხი. საიჯარო ვალდებულება და მასთან დაკავშირებული საპროცენტო ხარჯი საანგარიშგებო პერიოდის ბოლოს შესაბამისად შეადგენს 46,345 ლარს (3,386 ლარი და 42,958 ლარი) და 5,139 ლარს (1,357 ლარი და 3,782 ლარი).

7. საინვესტიციო ქონება

31 დეკემბერი 2017	59,300
ძირითად საშუალებებში გადატანა	(5,018)
31 დეკემბერი 2018	54,282
შემოსვლა	-
31 დეკემბერი 2019	54,282
დაგროვილი ცვეთა	
31 დეკემბერი 2017	1,647
მიმდინარე წლის ცვეთა	1,982
ძირითად საშუალებებში გადატანა	(143)
31 დეკემბერი 2018	3,486
მიმდინარე წლის ცვეთა	1,839
31 დეკემბერი 2019	5,325
ნარჩენი ღირებულება	
31 დეკემბერი 2018	50,796
31 დეკემბერი 2019	48,957

საინვესტიციო ქონებებზე წარმოდგენს საოფისე და სასაწყობო ფართებს, რომელთა მისამართებია: დიმიტრი უზნაძის ქუჩა. №76, თბილისი, საქართველო და ორდე დგებუაძის ქუჩა №1, თბილისი, საქართველო. საინვესტიციო ქონება აღირიცხება თვითღირებულებით დაგროვილი ცვეთისა და დაგროვილი გაუფასურების ზარალის გამოკლების შედეგად მიღებული თანხით.

საინვესტიციო ქონების რეალური ღირებულება 2019 წლის 31 დეკემბრისა და 2018 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით შეადგენს 146,640 ლარს და 141,000 ლარს, შესაბამისად.

8. არამატერიალური აქტივები

საბალანსო ღირებულება	
31 დეკემბერი 2017	2,234
შემოსვლა	30,940
ჩამოწერა	(400)
31 დეკემბერი 2018	32,774
შემოსვლა	-
ჩამოწერა	-
31 დეკემბერი 2019	32,774
დაგროვილი ამორტიზაცია	
31 დეკემბერი 2017	118
მიმდინარე წლის ამორტიზაცია	1,831
ჩამოწერა	45
31 დეკემბერი 2018	1,994
მიმდინარე წლის ამორტიზაცია	2,010
ჩამოწერა	-
31 დეკემბერი 2019	4,004
ნარჩენი ღირებულება	
31 დეკემბერი 2018	30,780
31 დეკემბერი 2019	28,770

კომპანია 2019 წლის განმავლობაში აქტიურად წერგავდა ახალ სააღრიცხვო პროგრამას აპექსს, რომელმაც სატესტო რეჟიმში მუშაობა დაიწყო 2019 წლის დასაწყისიდან და 2020 წლიდან იგეგმება მთლიანად ახალ სააღრიცხვო სისტემაზე გადასვლა.

9. ფული და ფულის ეკვივალენტები

კომპანიის ფული და ფულის ეკვივალენტები 2019 წლის 31 დეკემბრისა და 2018 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით შედგება:

	2019 წლის 31 დეკემბერი	2018 წლის 31 დეკემბერი
ფული საბანკო ანგარიშებზე უცხოურ ვალუტაში (ევრო)	575,326	326,355
ფული საბანკო ანგარიშებზე ეროვნულ ვალუტაში (ლარი)	178,686	44,092
ფული საბანკო ანგარიშებზე უცხოურ ვალუტაში (დოლარი)	76	71
ფული სალაროში	3,206	6,345
სულ ფული და ფულის ეკვივალენტები	757,295	376,863

ფულადი სახსრების ნაშთები საბანკო ანგარიშებზე შეიძლება დაკლასიფიცირდეს, როგორც ურისკო. მოკლევადიანი ხასიათიდან გამომდინარე ფულსა და ფულის ეკვივალენტებზე არ არის შექმნილი გაუფასურების რეზერვი.

10. სავაჭრო და სხვა მოთხოვნები

კომპანიის სავაჭრო და სხვა მოთხოვნები 2019 წლის 31 დეკემბრისა და 2018 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით შედგება:

	2019 წლის 31 დეკემბერი	2018 წლის 31 დეკემბერი
სავაჭრო მოთხოვნები	153,990	159,539
სსიპ პროექტების განმახორციელებელი ცენტრი ¹	-	9,135
მოთხოვნები იჯარიდან	-	1,049
მოთხოვნები სამინისტროდან ²	-	38,500
მოთხოვნები მომსახურებიდან	-	3,684
მოთხოვნები სოციალური მომსახურების სააგენტოსგან	78,333	72,333
გაუფასურების რეზერვი	-	(51,320)
სულ სავაჭრო და სხვა მოთხოვნები	232,323	232,920

ყველა სავაჭრო მოთხოვნა არის მოკლევადიანი და უპროცენტო. სავაჭრო და სხვა მოთხოვნების რეალური ღირებულება მიახლოებულია საბალანსო ღირებულებასთან.

ხელმძღვანელობას მიაჩნია, რომ მოთხოვნები სამინისტროსგან, სსიპ „საქართველოს ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის პროექტების განმახორციელებელი ცენტრთან“ და მოთხოვნები მომსახურებიდან დაბრუნებას არ ექვემდებარება და შესაბამისად ისინი სრულად ჩამოწერილია 2019 წლის განმავლობაში.

სავაჭრო მოთხოვნების გაუფასურების რეზერვი შემდეგია:

	2019	2018
1 იანვარი	51,320	47,635
პერიოდის წმინდა მოძრაობა	(51,320)	3,685
31 დეკემბერი	-	51,320

11. მარაგები

	2019 წლის 31 დეკემბერი	2018 წლის 31 დეკემბერი
სამედიცინო საქონელი	351,680	496,650
სხვა მარაგები	4,782	4,152
სულ მარაგები	356,462	500,802

12. კაპიტალი

კომპანიის კაპიტალი შედგება საწესდებო კაპიტალისგან და გაუნაწილებელი მოგებისგან, რომელიც კომპანიას დაუგროვდა წლების განმავლობაში. კომპანიის საწესდებო კაპიტალში არ მომხდარა ცვლილება 2019 და 2018 წლის განმავლობაში. კომპანიის დამფუძნებელი არის თეიმურაზ ცანავა.

¹ სსიპ „საქართველოს ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის პროექტების განმახორციელებელი ცენტრი“

² სსიპ „საქართველოს ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის პროექტების განმახორციელებელი ცენტრი“

13. მოკლევადიანი სესხები

2018 წლის 19 დეკემბერს კომპანიას თიბისი ბანკისგან წლიური 12% და 7.5%-ად გახსნილი აქვს 150,000 ლარისა და 150,000 ევროს კრედიტი, ორივე 351 დღიანი ვადით, საიდანაც 2018 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით ათვისებულია 2,116 ლარი საკომისიოს სახით, რაც 2019 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით სრულად განულებულია.

კომპანიის საპროცენტო ხარჯები შედგება ზემოთ მოცემულ სესხებზე დარიცხული სარპროცენტო ხარჯებისგან.

	2019	2018
საპროცენტო ხარჯი ბანკიდან მიღებულ სესხებზე	2,518	2,165
სულ საპროცენტო ხარჯი	2,518	2,165

14. სავაჭრო და სხვა ვალდებულებები

კომპანიის სავაჭრო და სხვა ვალდებულებები 2019 წლის 31 დეკემბრისა და 2018 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით შედგება:

	2019 წლის 31 დეკემბერი	2018 წლის 31 დეკემბერი
სავაჭრო და სხვა ვალდებულებები	13,700	45,387
ვალდებულებები რეგიონებთან	15,650	12,221
სულ სავაჭრო და სხვა ვალდებულებები	29,350	57,608

15. ვალდებულებები იჯარიდან

კომპანიის საიჯარო ვალდებულების ცვლილება პერიოდის განმავლობაში შემდეგია:

2019 წლის 1 იანვარი	-
ფასს 16-ზე გადასვლის ეფექტი	81,155
ძირის გადახდა პერიოდის განმავლობაში	(39,889)
წინასწარ გადახდილი საიჯარო ვალდებულება	813
საკურსო სხვაობა	4,266
2019 წლის 31 დეკემბერი	46,345

16. შემოსავლები

	2019	2018
მედიკამენტების რეალიზაციით მიღებული შემოსავალი	2,750,917	2,743,634
სადისტრიბუციო მომსახურებიდან მიღებული შემოსავლები	753,964	736,951
სხვა შემოსავლები	12,771	178
სულ შემოსავლები	3,517,592	3,480,763

სხვა შემოსავლები მოიცავს სამედიცინო დანიშნულების საგნებსა და პარაფარმაციას.

16. შემოსავლები (გაგრძელება)

კომპანიის მედიკამენტების რეალიზაციიდან მიღებული შემოსავლები იყოფა შემდეგნაირად:

	2019	2018
საბითუმო გაყიდვები	1,908,121	2,153,145
საცალო გაყიდვები	842,796	590,489
სულ მედიკამენტების რეალიზაციით მიღებული შემოსავალი	2,750,917	2,743,634

უნდა აღინიშნოს, რომ კომპანიის სადისტრიბუციო მომსახურებიდან მიღებული შემოსავალი წარმოადგენს სსიპ „სოციალური მომსახურების სააგენტოს“ საკუთრებაში არსებული 2019 წლის „ჯანმრთელობის დაცვის სახელმწიფო პროგრამების შესახებ“ საქართველოს მთავრობის დადგენილებებით³ დამტკიცებული მედიკამენტებისა და საკვები დანამატების საქართველოს ეკონომიკურ საზღვარზე გაფორმების, ტრანსპორტირების, შენახვისა და გაცემის მომსახურების განხორციელებიდან მიღებულ შემოსავალს.

17. რეალიზებული პროდუქციის თვითღირებულება

	2019	2018
მარაგები (მედიკამენტები)	1,250,934	1,271,392
დისტრიბუციის ხარჯი	347,350	327,650
სულ რეალიზებული პროდუქციის თვითღირებულება	1,598,284	1,599,042

დისტრიბუციის ხარჯი წარმოადგენს სსიპ „სოციალური მომსახურების სააგენტოს“ საკუთრებაში არსებული მედიკამენტებისა და საკვები დანამატების ტრანსპორტირების, შენახვისა და გაცემის მომსახურების ხარჯს, რომლის შესასრულებლადაც კომპანიას რეგიონებში აყვანილი ყავს ქვეკონტრაქტორები.

18. ზოგადი და ადმინისტრაციული ხარჯი

	2019	2018
შრომის ანაზღაურება	771,707	673,135
ცვეთა და ამორტიზაცია*	147,305	79,213
მომსახურების ხარჯები	118,581	68,332
კომუნალური და სამეურნეო ხარჯები	82,042	68,520
ტრანსპორტირების ხარჯები	45,140	39,567
იჯარის ხარჯი*	-	27,701
დაზღვევის ხარჯები	14,853	10,576
საბანკო ხარჯები	11,926	25,026
მივლინების ხარჯი	1,880	3,769
მარკეტინგის ხარჯი	-	1,493
სხვა	100,037	104,232
სულ ზოგადი და ადმინისტრაციული ხარჯები	1,293,471	1,101,564

* როგორც შენიშვნა 4-ში არის ნახსენები, 2019 წლის 1-ლი აინვარიდან კომპანიამ მიიღო ფასს 16 და აღიარა აქტივის გამოყენების უფლება, რითაც აიხსნება გადახრა იჯარის ხარჯებში.

19. სხვა არასაოპერაციო შემოსავალი

სხვა არასაოპერაციო შემოსავალი მოიცავს იჯარიდან მიღებულ შემოსავლებს, რაც შეადგენს 2019 და 2018 წლებში შეადგენს 20,975 ლარს.

³ საქართველოს მთავრობის 2018 წლის 31 დეკემბრის #693 დადგენილება.

20. ფინანსური ხარჯი

ფინანსური ხარჯი 2018 წელს წარმოადგენს საპროცენტო ხარჯებს ბანკიდან მიღებულ სესხებზე 2,165 ლარის ოდენობით, ხოლო 2019 წელს საპროცენტო ხარჯებს ბანკიდან მიღებულ სესხებზე (2,518 ლარი) და საიჯარო ვალდებულებასთან დაკავშირებულ საპროცენტო ხარჯს 5,139 ლარის ოდენობით.

21. მოგების გადასახადი

2016 წლის ივნისში, საქართველოს საგადასახადო კანონში ცვლილებები შევიდა მოგების გადასახადთან დაკავშირებით. ცვლილებები ძალაში შევიდა 2017 წლის 1 იანვრიდან და ვრცელდება საქართველოში მოქმედ ყველა კომპანიაზე, გარდა ბანკებისა, სადაზღვევო კომპანიებისა და მიკროსაფინანსო ორგანიზაციებისა, რომლებისთვისაც ძალაში შესვლის თარიღი 2023 წლის 1 იანვრით განისაზღვრა. ახალი ნორმატიული აქტების თანახმად, მოგების გადასახადით იბეგრება დივიდენდების სახით იმ აქციონერებზე განაწილებული მოგება, რომლებიც არიან ფიზიკური პირები ან არარეზიდენტები საქართველოში, და არა მიღებული მოგება. დივიდენდების განაწილებაზე გადასახდელი გადასახადის ოდენობა გამოითვლება განაწილებული წმინდა თანხიდან 15/85 განაკვეთის გამოყენებით. არსებული ნორმატიული აქტების მიხედვით კომპანიებს უფლება აქვთ, ჩაითვალონ 2008-2016 წლებში მიღებული მოგებიდან განაწილებულ დივიდენდებთან დაკავშირებული მოგების გადასახადი შესაბამისი პერიოდისთვის გადახდილი მოგების გადასახადის ოდენობით. საქართველოს რეზიდენტ კომპანიებს შორის დივიდენდების განაწილება არ იბეგრება მოგების გადასახადით. მოგების გადასახადის ხარჯი 2019 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისთვის შეადგენს 286 ლარს. მიუხედავად იმისა, რომ 2019 და 2018 წლის განმავლობაში განაწილებულია დივიდენდები, კომპანიას არ წარმოეშობა დამატებით მოგების გადასახადის გადახდის ვალდებულება, გამომდინარე იქედან, რომ განხორციელებული აქვს 2008-2016 წლებში გადახდილი მოგების გადასახადის ჩათვლა.

22. ფინანსური რისკების მართვა

კომპანია არ არის დაცული სხვადასხვა რისკებისგან, რომლებიც დაკავშირებულია ფინანსურ ინსტრუმენტებთან. ძირითადი რისკების ტიპებია სავალუტო, საკრედიტო და ლიკვიდურობის რისკები. კომპანია არ არის ჩართული ფინანსური აქტივებით ვაჭრობაში. ძირითადი რისკები, რომლებიც დაკავშირებულია ფინანსურ აქტივებთან ნაჩვენებია და აღწერილია ქვემოთ.

სავალუტო რისკი

კომპანიის მიერ განხორციელებული გარკვეული ტრანზაქციები წარმოდგენილია უცხოურ ვალუტაში. შესაბამისად წარმოიშვება საკუროს სხვობები.

კომპანიის ოპერაციების დიდი ნაწილი ხორციელდება ლარში. სირთულე წამოიშვება სავალუტო კურსისგან, რომელიც ჩნდება კომპანიის შენამენებიდან, რომლებიც ძირითადად ხორციელდება ევროში. კომპანიას აგრეთვე აქვს სესხები ევროში.

31 დეკემბერი, 2019	ლარი	აშშ დოლარი	ევრო	სულ
ფინანსური აქტივები				
დებიტორული დავალიანება გაუფასურების რეზერვამდე	232,323	-	-	232,323
ფული და ფულის ეკვივალენტები	181,892	76	575,326	757,295
სულ	414,215	76	575,326	989,618
ფინანსური ვალდებულებები				-
სესხები და საიჯარო ვალდებულებები	3,386	42,959	-	46,345
სავაჭრო და სხვა ვალდებულებები	29,350	-	-	29,350
სულ	32,735	42,959	-	75,695
ღია სავალუტო პოზიცია	381,480	(42,882)	575,326	913,923

22. ფინანსური რისკების მართვა (გაგრძელება)

31 დეკემბერი, 2018	ლარი	აშშ დოლარი	ევრო	სულ
ფინანსური აქტივები				
დებიტორული დავალიანება გაუფასურების რეზერვამდე	267,574	-	16,666	284,240
ფული და ფულის ეკვივალენტები	50,437	71	326,355	376,863
სულ	318,011	71	343,021	661,103
ფინანსური ვალდებულებები				
სესხები	750	-	1,366	2,116
სავაჭრო და სხვა ვალდებულებები	12,763	-	44,845	57,608
სულ	13,514	-	46,211	59,724
ღია სავალუტო პოზიცია	304,498	71	296,810	601,379

საკრედიტო რისკი

საკრედიტო რისკი ნიშნავს იმას რომ კონტრაქტორი ვერ შეასრულებს კონტრაქტით გათვალისწინებულ ნაკისრ ვალდებულებებს, რის შედეგადაც კომპანია მიიღებს ფინანსურ ზარალს. კომპანია ურთიერთობს კრედიტუნარიან კონტრაქტორებთან, რის შედეგადაც მცირდება კონტრაქტორის დეფოლტის რისკი, მაქსიმალურ საკრედიტო რისკს წარმოადგენს შემდეგი ფინანსური აქტივები:

	2019 წლის 31 დეკემბერი	2018 წლის 31 დეკემბერი
სავაჭრო და სხვა მოთხოვნები (გაუფასურების რეზერვამდე)	232,323	284,240
ფული ბანკში (სალაროში ფულის გარდა)	754,089	370,518
სულ	986,372	654,758

ფინანსური ანგარიშგების გამოშვების თარიღისთვის არ იყო მნიშვნელოვანი საკრედიტო რისკის კონცენტრაცია სავაჭრო მოთხოვნებთან მიმართებაში.

საკრედიტო რისკი საბანკო ანგარიშებთან მიმართებაში უმნიშვნელოა, ვინაიდან სახსრები განთავსებულია კარგი რეპუტაციის მქონე ბანკებში.

ლიკვიდურობის რისკი

ლიკვიდურობის რისკი გულისხმობს, კომპანიის ვალდებულებების გადახდისუნარიანობას.

კომპანია ფრთხილად მართავს ლიკვიდურობას, რაც გულისხმობს საკმარისი რაოდენობის ფულის და მისი ეკვივალენტების ფლობას, აგრეთვე მაღალი ლიკვიდური აქტივების ფლობას, რათა კომპანიამ დროულად გადაიხადოს ყველა საოპერაციო და სასესხო ვალდებულება.

ქვემოთ მოცემული ცხრილი დეტალურად აღწერს კომპანიის ფინანსური დოკუმენტებით გათვალისწინებულ ნარჩენ დაფარვის ვადებს მისი არა-დერივატიული ფინანსური ვალდებულებებისათვის გადახდის შეთანხმებული პერიოდებით. ცხრილი შედგენილია ფინანსური ვალდებულებების ფულადი ნაკადების საფუძველზე უფრო ადრეულ თარიღზე დაყრდნობით, როდესაც კომპანიას მოეთხოვება გადახდა. ცხრილი მოიცავს პროცენტის და ძირითადის ფულად ნაკადებს.

22. ფინანსური რისკების მართვა (გაგრძელება)

31 დეკემბერი, 2019	1 წლამდე	1 დან 5 წლამდე	5 წელს ზემოთ	სულ
ფინანსური აქტივები				
სავაჭრო და სხვა მოთხოვნები	232,323	-	-	232,323
ფული და ფულის ეკვივალენტები	757,295	-	-	757,295
სულ ფინანსური აქტივები	989,618	-	-	989,618
ფინანსური ვალდებულებები				
საიჯარო ვალდებულებები	27,290	19,055	-	46,345
სულ სარგებლიანი ფინანსური ვალდებულებები	27,290	19,055	-	46,345
სხვა ვალდებულებები	29,350	-	-	29,350
სულ ფინანსური ვალდებულებები	56,640	19,055	-	75,695
ლიკვიდურობის გარღვევა	932,978	(19,055)	-	913,923
31 დეკემბერი, 2018	1 წლამდე	1 დან 5 წლამდე	5 წელს ზემოთ	სულ
ფინანსური აქტივები				
სავაჭრო და სხვა მოთხოვნები	232,920	-	-	232,920
ფული და ფულის ეკვივალენტები	376,863	-	-	376,863
სულ ფინანსური აქტივები	609,783	-	-	609,783
ფინანსური ვალდებულებები				
ნასესხები სახსრები	2,116	-	-	2,116
სულ სარგებლიანი ფინანსური ვალდებულებები	2,116	-	-	2,116
სხვა ვალდებულებები	57,608	-	-	57,608
სულ ფინანსური ვალდებულებები	59,724	-	-	59,724
ლიკვიდურობის გარღვევა	550,059	-	-	550,059

ლიკვიდურობის რისკის სამართვად კომპანია იყენებს საკუთარ ფინანსურ აქტივებს, როგორცაა ფულადი რესურსები და სავაჭრო მოთხოვნები. კომპანიის ფულადი რესურსები და სავაჭრო მოთხოვნები მეტია ვიდრე მისი საჭიროება ფულად გასაღებზე.

23. დაკავშირებული მხარეები

კომპანიას არ გააჩნია ისეთი ოპერაციები და ნაშთები დაკავშირებულ მხარეებთან, რომლებიც უნდა იყოს აღნიშნული მიმდინარე ფინანსური ანგარიშგების შენიშვნაში, გარდა ხელმძღვანელობის ანაზღაურებისა, რომელიც მოცემულია ქვემოთ.

ხელმძღვანელობის ანაზღაურება	2019	2018
ხელფასი	300,897	290,233

24. საანგარიშგებო პერიოდის შემდგომი მოვლენები

2020 წლის დასაწყისიდან, მსოფლიო მასშტაბით გავრცელდა ახალი კორონავირუსი (ე.წ. COVID-19) და 2020 წლის 12 მარტს ჯანდაცვის მსოფლიო ორგანიზაციამ ვირუსი პანდემიად გამოაცხადა. მისი მასშტაბებიდან გამომდინარე აღნიშნულმა ვირუსმა მნიშვნელოვანი გავლენა მოახდინა როგორც გლობალურ, ასევე ადგილობრივ ეკონომიკასა და ფინანსურ ფაზრებზე, თუმცა ფინანსური ანგარიშგების მომზადების თარიღისთვის მას მნიშვნელოვანი პირდაპირი ეფექტი არ ჰქონია კომპანიაზე.

2020 წლის 30 მარტს კომპანიამ დაარსდა შვილობილი საწარმო შპს მედიფარმა (402162342), რომლის 100%-იან მესაკუთრეს წარმოადგენს კომპანია.

ეს ფინანსური ანგარიშგება დამტკიცდა გამოსაშვებად კომპანიის ხელმძღვანელობის მიერ 2020 წლის 31 ივლისს. საანგარიშგებო პერიოდის შემდეგ ადგილი არ ჰქონია სხვა ისეთ მოვლენებს, რომლებიც მოითხოვს აღნიშვნას განმარტებით შენიშვნებში.